საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოქდ-ვუნი სიფცუვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადრისიბაგზე ეხაძაგლესია.

სამშაბათი, 20 დეკემბერი. 2022 წ. №189 (9527) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ესეც ევროპა!

ევროკავშირის კორუმპირებული ინსტიტუტები!



THE BRUSSELS TIMES: ბრიუსელი სავსეა ლობისტებით – ყოველდღიურად 30 000 ლობისტი ცდილობს, გავლენა მოახდინოს 750 ევროპარლამენტარზე, 28 კომისარსა და მათ თანამშრომლებზე

გამოცემის თანახმად, ბოლო მონაცემებით, ევროკავშირის მოქალაქეების არანაკლებ 70%-ს მიაჩნია, რომ ევროკავშირის ინსტიტუტები კორუმპირებულია. ევროკომისიის პირველ ანტიკორუფციულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ევროპის მასშტაბით მექრთამეობით გამოწვეული ზარალი წელიწადში 120 მილიარდ ევროს შეადგენს.

კორპორაციები საკუთარ პიარსა და ლობისტურ საქმიანობაზე მილიარდებს ხარჯავენ, თუმცა დაწყებულია ახალი კამპანია „არადემოკრატიული ლობიზმის“ წინააღმდეგ და მის სათავეში ევროპარლამენტარი სვენ გიგოლდი დგას.

ორგანიზაცია Democracy International-მა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც ევროპის მასშტაბით 2000 ადამიანს ჰკითხეს, რა იდეები ჰქონდათ ევროკავშირში კანონის გამჭვირვალობის გასაძლიერებლად ლობიზმის სფეროში. რესპონდენტთა უმრავლესობის შეშფოთება ბრიუსელში ლობისტების აქტიურობას ეხებოდა.

გიგოლდმა, რომელიც ევროკავშირში გერმანიის „მწვანეთა პარტიას“ წარმოადგენს, ამცნო Democracy International-ს, რომ შეეცდება, ასახოს რესპონდენტთა ნაწილის პასუხები კანონპროექტში, რომელზეც ამჟამად მუშაობს.

Democracy International-ის სპიკერის განცხადებით, ევროკომისიამ გაითვალისწინა სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოთქმული უკმაყოფილება.

„მაგალითად, მაღალჩინოსნებს ეკრძალებათ ლობისტებთან შეხვედრა, მაგრამ ეს მხოლოდ 300 ადამიანს ეხება, რაც თანამშრომელთა 1%-ზე ნაკლებია. ეს არაა საკმარისი იმისთვის, რომ ბოლო მოეღოს დიდი ბიზნესის უკონტროლო გავლენას ევროპელ პოლიტიკოსებზე“, — აცხადებს Democracy International-ის სპიკერი.

თეა წულუკიანი:
ჩვენს ხელისუფლებას მოგვიწია, გვემტკიცებინა, რომ ქართველები იყვნენ მსხვერპლნი და არა თავდამსხმელები

ლევან ნიკოლეიშვილი:
საკუთარ ქვეყანას ომის დაწყება დააბრალეს... 3

სოზარ სუბარი:
ჰაგასთან რატომ არ ითანამშრომლა სააკაშვილმა? იმიტომ, რომ ეშინოდა...

4

ვახტანგ მაისაია:
ვაგნერის ჯგუფი კავკასიის რეგიონშიც გამოჩნდა, მაგრამ არ ზუსტდება, სად...

პაატა ნაცვლიშვილი:
პერფექციონისტის შთანახატები

9

იოსებ ჭუმბურიძე:
„ალქონილ“ დაბრუნებამდე...

7

ხუდონჰესის გამოსყიდვა, ელექტრონული კომერცია, ახალგაზრდული სტრატეგია და კიდევ 17 საკითხი – მთავრობის სხდომაზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 17 საკითხი განიხილეს.

მთავრობის წევრებმა განიხილეს საკითხი ხუდონჰესის გამოსყიდვის შესახებ, რომლის საფუძველზეც შედგა შეთანხმება ჰესის სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით. განსახილველ საკითხთა შორის იყო საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები, რომელიც ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს დაარეგულირებს.

ეკონომიკის სამინისტროს მიერ ინიცირებულმა ახალმა კანონმა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს ელექტრონული კომერციის პროცესში მომსახურების მიმღების უფლებების დაცვა და მომსახურების მიმწოდებლის მიერ მინიმალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რაც გაზრდის ნდობას მომსახურების მიმწოდებელთა მიმართ და შეამცირებს რისკებს მომსახურების მიმღებთათვის.

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებიდან გამომდინარე, შუალედური სერვის პროვაიდერების უფლებებისა და მოვალეობების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის მიმართულებით. პროექტი შემუშავებულია USAID-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში.

კიდევ ერთი საკითხი, რაზედაც მთავრობის წევრებმა იმსჯელეს, იყო – საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის – „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“-ის დამტკიცება. აღნიშნული სტრატეგია, რომელიც კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კოორდინირებით შეიქმნა, არის პირველი სტრატეგია ახალგაზრდობის სფეროში და იქნება საქართველოს მთავრობის მთავარი სახელმძღვანელო დოკუმენტი ამ მიმართულებით. განსახილველ საკითხთა შორის იყო ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულების რამდენიმე პროექტი, რომლებიც საქართველოში ქარის, მზისა და ჰიდროელექტროსადგურების განვითარებას ეხება. აღნიშნული პროექტების დადგმული სიმძლავრე 295 მეგავატზე მეტია.

საჯარო მოხელეთა პროფესიული დღე

საჯარო მოხელეთა პროფესიულ დღეს ვულოცავ ყველა საჯარო მოხელეს და მადლობას ვუხდი მათ ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე გაწეული სამსახურისათვის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „ფეისბუქში“ წერს.

„მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების მიუხედავად, ჩვენი ხელისუფლების მიერ გატარებული მასშტაბური რეფორმების შედეგად, სახეზე გვაქვს მნიშვნელოვანი პროგრესი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის, ეკონომიკური აღმშენებლობის, სოციალური და საგარეო-პოლიტიკური მიმართულებებით. ამ მიღწევათა გასაგრძელებლად, ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობის გასაძლიერებლად აუცილებელია რეფორმების განგრძობადობის უზრუნველყოფა, პოლიტიკის სისტემური და კოორდინირებული დაგეგმვა, რესურსებისა და პოტენციალის შეფასება და ანალიზი, მათი მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. ამ პროცესებში საჯარო მოხელეებს საკვანძო როლი აკისრიათ.

საქართველოს მთავრობა კვლავაც აგრძელებს საჯარო მმართველობისა და მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილის – საჯარო სამსახურის რეფორმას, რაც გულისხმობს ევროპული პრინციპების დამკვიდრებას და ინსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფას. მომავლის საჯარო სამსახურის მშენებლობაში საჯარო მოხელეთა წვლილის დაფასება ხელისუფლების უპირობო პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, მათი ხელფასების მატების პროცესი 2022 წლიდან დაიწყო და მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

კიდევ ერთხელ ვულოცავ პროფესიულ დღეს და შემდგომ წინსვლას და წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ საჯარო მოხელეს!“, – აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

შვეიცარია შუა დერეფანმა მოხიბლა...

შვეიცარია დაინტერესებულია აზერბაიჯანთან ტრანსკასპიის საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტთან (TITR), ანუ ე.წ. შუა დერეფანთან დაკავშირებით თანამშრომლობის განვითარებით.

ამის შესახებ Trend-ს შვეიცარიის ეკონომიკური საკითხებში სახელმწიფო სამდივნოს (SECO) ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ერვინ ბოლინგერმა განუცხადა.

„ჩვენ ვხედავთ დიდ პოტენციალს შუა დერეფნის განვითარებაში. ეს შეამცირებს მარშრუტს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ,“ – თქვა ბოლინგერმა.

მან აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ სტუმრობდა ბაქოს საერთაშორისო საზღვაო პორტსა და ალატის თავისუფალ ეკონომიკურ ზონას და ადგილზე გაეცნო ამ ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების უზარმაზარ პოტენციალს. ქვეყნებს შორის თანამშრომლობაზე საუბრისას ბოლინგერმა აღნიშნა, რომ მხოლოდ მიმდინარე წელს აზერბაიჯანსა და შვეიცარიას შორის ვაჭრობის მოცულობა 50%-ით გაიზარდა.

„ჩვენ ასევე გვაქვს ორმხრივი ინვესტიციები. ინვესტიციებს ვახორციელებთ არა მხოლოდ კლასიკურ ინდუსტრიებში, როგორიცაა ნავთობი და გაზი, არამედ ახალ ინოვაციურ ინდუსტრიებში, როგორიცაა აგრობიზნესი,“ – აღნიშნა ბოლინგერმა. მან აღნიშნა, რომ SECO აქტიურად მუშაობს აზერბაიჯანში ბევრ სფეროში, ძირითადად აგრობიზნესის დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

„მე მჯერა, რომ ჩვენ ასევე შეგვიძლია გავაფართოოთ თანამშრომლობა მდგრადი ენერგეტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში“, – თქვა ბოლინგერმა.

მამუკა ყურაშვილი საკუთარ სიმხდალეს სხვისი დისკრედიტაციით მალავს!

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ჩაჩიბაია განცხადებას ავრცელებს.

„თადარიგის გენერალმა მამუკა ყურაშვილმა ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში 2008 წლის ომში ბრძოლის ველზე დაღუპული გმირების გადმოსვენებასთან დაკავშირებით მცდარი და დეზინფორმაციული განცხადება გააკეთა, თითქოს მე, გენერალმა ჩაჩიბაიამ, დავიბრალე ჩვენი მეომრების გადმოსვენების ოპერაციის ჩატარება. მინდა, გითხრათ, რომ პატრიარქის ინიციატივით და უშუალო ჩართულობით განხორციელდა აღნიშნული ღონისძიება, რომელიც სამარცხვინოდ მიიწერა მამუკა ყურაშვილმა. ნამდვილად არ ექნება მას საამაყოდ საქმე, ბოლომდე რომ ვისაუბრო ყველაფერზე, რა მიზეზით წავყევი პატრიარქს მაშინ, როდესაც ჩემი სიცოცხლე შეიძლება, ყოფილიყო რისკის ქვეშ.

არ არის სწორი, საკუთარი სიმხდალე ვინმეს დისკრედიტაციის გზით გადაფაროს. არასდროს, არცერთ ოფიცერზე არ მისაუბრია საჯაროდ, რადგან არსებობს ოფიცრის ღირსება, რომელიც ყველა ღირსეულმა სამხედრომ უნდა დაიცვას. ასევე მინდა, გავახსენო ყურაშვილს, ვინ იყო მასთან ერთად, როცა იყო მარტო ცხინვალის მიმართულებაზე და შემიძლია, გავახსენო კიდევ ბევრი შემთხვევა, სადაც მე ვადვოკატირებდი მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მადლიერება არის ღმერთის ბოძებული ნიჭიერება, რომელიც არ აღმოაჩნდა ყურაშვილს. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, ტყუილია, თითქოს ვიბრალებდე პატრიარქის ინიციატივას. მარტივად რომ ვთქვა, ჭორაობაა და სამარცხვინო საქციელი, მით უმეტეს, თუ ხარ ან იყავი სამხედრო. აპელირება საკითხზე, რატომ შევედი გადაცმული მტრის კონტროლირებად რაიონში და უღირსი მცდელობები, მინიშნებები, რომ შეიძლება, რამე კავშირი ყოფილიყო ჩემსა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის, არის ყველაზე უღირსი საქციელი, რაც შეეძლო, ეკადრებინა საკუთარი თავისთვის. ამ საკითხზე საუბრობს ადამიანი, რომელიც რუსეთში ყალიბდებოდა, როგორც ოფიცერი“, – განაცხადა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ.

დაზარალებულთა საქმეები ხელახლა განიხილება

პროკურატურაში სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო შეიქმნა

გენერალური პროკურორის, ირაკლი შოთაძის გადაწყვეტილებით, პროკურატურაში სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო შეიქმნა.

ღონისძიება საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ გახსნა. გენერალურმა პროკურორმა სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს შექმნის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საბჭოს მიზანია მსგავსი კატეგორიის საქმეებზე დაზარალებულების საჩივრების მოსმენა, მათი უფლებების უზრუნველყოფა და მართლმსაჯულების ეფექტიანობის გაზრდა.

„თითოეულ მოქალაქეს, დაზარალებულს, რომელსაც შესაძლოა გარკვეული პრეტენზიები გააჩნდეს მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით, რაც სიცოცხლის უფლების ხელყოფას ეხება, საშუალება ექნება, მიმართოს აღნიშნულ საბჭოს. საჩივრების განმხილველი საბჭო იმსჯელებს იმ პრობლემურ საკითხებზე, რომელიც დაყენებული იქნება საჩივრის ფარგლებში, მოხდება აღნიშნული პრობლემების გადაჭრა და შესაბამისად, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება“, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

ღონისძიების ფარგლებში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე ზედამხედველობისა და სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა ნინო აღლემაშვილმა „სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა განმხილველი საბჭოს“ თემაზე პრეზენტაცია გამართა და მის ფუნქციებსა და უფლებამოსილებაზე ისაუბრა.

როგორც ნინო აღლემაშვილმა განაცხადა, საჩივრების განმხილველი საბჭო უზრუნველყოფს ამ კატეგორიის საქმეებზე გამოძიების ეფექტიანობას და პროცესის მონაწილეთა, მათ შორის, უპირატესად დაზარალებული მხარის უფლებების დაცვას. მისი თქმით, მნიშვნელოვანია დაზარალებულს ჰქონდეს ნდობა პროცესის მიმართ და განცდა იმისა, რომ მისი უფლებები საქმის განხილვის ყველა ეტაპზე მაქსიმალურად დაცული იყო.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, საბჭო იქნება ქმედითი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე ოპტიმალურ ვადებში ყველა საჭირო გადაწყვეტილების მიღებას და ასევე, დაზარალებულთან სისტემატურ კავშირს, რათა მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია მიმდინარე პროცესის შესახებ. საბჭო ცხრა პროკურორი წევრისგან შედგება, რომელთაც მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მუშაობის ხანგრძლივი და ნაყოფიერი გამოცდილება აქვთ.

ᲡᲝᲖᲐᲠ ᲡᲣᲑᲐᲠᲘ: ᲰᲐᲐ�გᲐᲡᲗᲐᲜ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ? ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲔᲑᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲗ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ „ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲝᲜ“!

ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲘᲢᲧᲣᲔᲑᲐ!

„ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲘᲢᲧᲣᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲩᲕᲔᲕᲘᲐᲗ. 2008 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐ 2008-ᲓᲐᲜ 2012-ᲛᲓᲔ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲗᲐᲜ,“ — განაცხადა პარლამენტის წევრმა სოზარ სუბარმა გადაცემა „იმედი Live“-ის ეთერში ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებისას.

როგორც სოზარ სუბარმა აღნიშნა, ჰააგაში ხელისუფლების დიდი ძალისხმევის შედეგად მიაღწიეს გამარჯვებას. მისი თქმით, საკაშვილის ხელისუფლება არ თანამშრომლობდა საერთაშორისო სასამართლოებთან, რადგან მათ ეშინოდათ იმის გამო, რაც საქართველოს დააბრალეს, პასუხი არ ეგოთ.

„2014-მდე თანამშრომლობა არ იყო ისეთი აქტიური, მაგრამ წამოვიდა ჰააგიდან ეჭვები, რომ საქართველო არ თანამშრომლობს, ე.ი საქართველოს აქვს რაღაცა დასამალი. რატომ არ თანამშრომლობთ, რა ხდება? რატომ არ თანამშრომლობდა წინა ხელისუფლება, თქვენ რატომ არ თანამშრომლობთ და გადაწყდა, რომ ძალიან აქტიურად გვეთანამშრომლა ფატუ ბენსუდასთან. მან გასწია უზარმაზარი სამუშაო.

რომ არ გვეთანამშრომლა, ამ შემთხვევაში, შედეგი რა იქნებოდა, კაცმა არ იცის. გამოძიება მაინც გაგრძელდებოდა, რუსეთი არ შეწყვეტდა თანამშრომლობას. მან სტრასბურგთან მაშინ შეწყვიტა თანამშრომლობა, როდესაც მიხვდა, რომ ჩვენ ვიმარჯვებდით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმოჩნდებოდა, რომ საქართველო არ თანამშრომლობს, რუსეთი თანამშრომლობს.

ისინი წარადგენდნენ, ყალბ თუ ნაღდ მტკიცებულებებს და დიდი შანსი იყო, რომ შეიძლება, ჩვენ არ გავმტყუნებულიყავით, მაგრამ ორმხრივი ბრალი ყოფილიყო.

სისხლის სამართალი ხომ ასეთია. შეიძლება, ერთის დანაშაულიც გამოიკვეთოს და მეორისაც. მაგრამ, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩვენ დანაშაული არ მიგვიძღოდა. როდესაც არსებობდა, 1633 რეზოლუცია, როდესაც არსებობდა ტალიავინის დასკვნა, რომელიც, ასევე, იზეიმა მისეილ სააკაშვილმა, თუ რა მაგარი დასკვნა დაიდოო, მაგრამ ამ დასკვნაში გაცილებით მეტი ეწერა, საქართველოს სასარგებლოდ, ვიდრე რუსეთის.

როდესაც არსებობდა მიცემული ინტერვიუები, როგორც ტელევიზიებში და საერთაშორისო მედიაში, ასევე Human Rights-თვის მოცემული ინტერვიუ-ჩვენებები საქართველოს მაღალი თანამდებობის პირების, სერგი კაპანაძის, ბოკერიას მოადგილის. როდესაც ასეთი ინტერვიუები არსებობდა, სადაც ისინი აღიარებენ, რომ დიახ, ჩვენ ვიყენებდით კასეტურ ბომბებს და საერთაშორისო კონვენციით აკრძალულ იარაღს.

ამ შემთხვევაში, გამოდის, რომ საქართველო იყო განიარაღებული, არ ჰქონდა ხელში არანაირი იარაღი საერთაშორისო სასამართლოზე და ჩვენ რომ არ დაგვეწყო თანამშრომლობა და არ წარგვედგინა მტკიცებულებები, წავაგებდით. რატომ არ ითანამშრომლა სააკაშვილმა 2015 წლამდე? იმიტომ რომ, ეშინოდა თავის მიერ საქართველოსთვის დაბრალებული თემებით.

ისეთით, როგორიც არის, მაგალითად, კასეტური ბომბები და ა.შ. ამის გამო არ თანამშრომლობდა და დღეს უბრალოდ, იძულებულები არიან, მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიმარჯვეთ ერთმანეთს მიულოცონ. შეიძლება, მართლა აქვთ მისალოცი, იმიტომ რომ, რაც დააბრალეს საქართველოს, თუ სხვანაირი გადაწყვეტილება იქნებოდა, მოხდებოდა მათი გასამართლება,“ — განაცხადა სუბარმა.

ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ: ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲘᲐ, ᲒᲕᲔᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲔᲑᲘ

ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘᲡ თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა საზოგადოებას უნდა გასცენ პასუხი, რატომ ჩაიდინეს სამშობლოს წინაშე დანაშაული, როდესაც ჯარი დაადანაშაულეს ომის დაწყებაში.

„მას მერე, რაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, 2012 წლის ოქტომბერში, ჩემს ტყავზე, იუსტიციელების ტყავზე, პროკურორების, პოლიციელების, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ჯარის, გენშტაბის და ყველა ამ ადამიანის ტყავზე გადაიარა „ნაციონალების“ მიერ გაფუჭებული საქმის გამოსწორებამ როგორც სტრასბურგში, ისე ჰააგაში. ჩვენ გვახსოვს 2008 წელს, როდესაც ევროსაბჭოში საპარლამენტო ასამბლეამ გამოიტანა კენჭისყრისთვის რეზოლუციის პროექტი, სადაც ეწერა ფრაზა, რომ ვინმე საკაშვილმა და მისმა არცთუ ისე პატარა დედამ კი არა, საქართველოს ჯარისკაცებმა დაიწყეს ომიო, ამ ფრაზას არ შეეწინააღმდეგა არც დავით დარჩიაშვილი, არც გოგა გაბაშვილი, არც ჩიორა თაქთაქიშვილი, არც ახლა ვითომ პროგრესული ტელევიზიიდან რომ გვმოძღვრავს — გიორგი თარგამაძე, რომელიც მაშინ „ნაცების“ მიერ დანიშნული ოპოზიცია იყო, არც გიორგი კანდელაკი და ა.შ. მათ ერთხმად კენჭი უყარეს და მხარი დაუჭირეს ამ ფრაზას, თურმე ქართველი ჯარისკაცების მიერ ყოფილა აგვისტოს ომი დაწყებული. ამას ემატებოდა ისიც, რომ სტრასბურგსა და ჰააგაში არავითარი მტკიცებულებები არ იყო მოგროვებული და ჩვენი ხელისუფლების პირობებში ასეულობით საჯარო მოხელეს, რომლებსაც დღეს მადლობას ვუხდი, მოგვიწია, გვემტკიცებინა სიმართლე. მარტივი სიმართლე, რომ ქართველები იყვნენ მსხვერპლნი და არა თავდამსხმელები. მაშინ ისინი რეზოლუციას უჭერდნენ მხარს საკუთარი ჯარის წინააღმდეგ. ამ ხუთმა ადამიანმა, რომლებიც „ნაციონალების“ ლიდერები იყვნენ, უნდა გაგვცენ პასუხი, რატომ ჩაიდინეს საკუთარი ჯარის, სამშობლოს წინაშე ამგვარი დანაშაული, როდესაც ჩვენი ჯარი დაადანაშაულეს ომის დაწყებაში, რატომ არ აწარმოებდნენ კვალიფიციურად დავას სტრასბურგსა და ჰააგაში, სადაც ერთგანაც გავიმარჯვეთ ჩვენ და მეორეგანაც, ჩვენი ყოველდღიური შრომის შედეგად“, — განაცხადა წულუკიანმა.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲗᲐᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲑᲠᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲥᲔᲗ ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲔᲜ, ᲰᲐᲐ�გᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲗᲝᲗ

„რეზოლუციას ხელი მოაწერეს, სადაც ომის დანაშაულზე იყო საუბარი, საკუთარ ქვეყანას ომის დაწყება დააბრალეს და ახლა აქეთ ატრიალებენ, ჰააგა ჩვენ მოვიგეთო“, — წერს ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი სოციალურ ქსელში.

როგორც ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, „ნაციონალებს“ გამოძიებაში თითი-თითზე არ დაუკარებიათ და წესით, ხალხმა ეს აუცილებლად უნდა გაიგოს: **„ნაცმოძრაობის“ უბინძურესი ბუნება იცით როგორია? რეზოლუციას ხელი მოაწერეს, სადაც ომის დანაშაულზე იყო საუბარი, საკუთარ ქვეყანას ომის დაწყება დააბრალეს და ახლა აქეთ ატრიალებენ, ჰააგა ჩვენ მოვიგეთო. გამოძიებაში თითი თითზე არ დაუკარებიათ და წესით, ხალხს ეს აუცილებლად უნდა გავაგებინოთ“,** — წერს ნიკოლეიშვილი.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲨᲘᲜᲔᲡ...

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, ენმ-ის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე **გიორგი კირთაძეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.**

შემთხვევა ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მოხდა. მას პირდაპირ ეთერში უცნობმა მოქალაქემ კვერცხები ესროლა და სიტყვიერად დაუპირისპირდა, რის შემდეგაც შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

„ვსაუბრობდი მათ შორის შიდაპარტიულ არჩევნებზე და მოგვივარდა ადამიანი, რომელმაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით და კვერცხების სროლით სცადა ინტერვიუს ჩაშლა. მან ლაჩრულად სცადა, რაღაც დაედგა. ეს ყველაფერი ხდება იმის გამო, რაც საერთოდ ამ ქვეყანაში ხდება. ასეთი ადამიანების პოვნა ბათუმში უჭირდათ, მაგრამ როგორც ჩანს, ერთი აღმოაჩინეს. მგონია, ძალიან ცუდად მოიქცა. შეიძლება, ეს კონკრეტულ ადამიანებს არ ეხებათ, მაგრამ ის, რომ მათი ხელმძღვანელები და მაღალჩინოსნები უშუალოდ ჩართული არიან ამ ტიპის პროვოკაციების დადგმით, ეს ხომ ყველამ ვიცით. უშუალოდ მათი ხელმძღვანელები დგამენ ამ ტიპის პროვოკაციებს და ამ ბიჭებმა უნდა გამოიძიონ ის საქმე, რომელიც მისმა უფროსმა დააორგანიზა. არ ვიცი, კრიმინალური პოლიციიდან, თუ სუს-დან. ამიტომ ბუნებრივია, მოლოდინი არის ნულოვანი და რეალურად, არც ვთხოვ ამათ არაფრის გამოძიებას. ქვეყანაში მდგომარეობა შესაცვლელია. ვიდრე ეს თავდასხმა მოხდებოდა, ვსაუბრობდი, რა ხდებოდა ბელარუსში, სადაც კრიტიკული აზრის ადამიანები, იქნებიან ეს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, სამოქალაქო აქტივისტები, თუ ჟურნალისტები, უბრალოდ აღარ ცხოვრობენ, მათ ან ქვეყანა დატოვეს, ან გარდაიცვალნენ, ან დაიკარგნენ უგზო-უკვლოდ. ამ საუბრის დროს შემოგვეჭრა ეთერში“, — განაცხადა გიორგი კირთაძემ.

ვახტანგ მაისაია:

ცბიერი პუტინი იყენებს უკრაინის გამოფიტვის პოლიტიკას...

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი აცხადებს, რომ სამშვიდობო პროცესმა უკრაინა ნატოს უნდა დაუკავშიროს, თუმცა აქვე დასძინა, რომ რუსეთის დაშლაზე ოცნებებმა შეიძლება ბირთვული ქაოსი გამოიწვიოს. კონფლიქტების ისტორიას თუ გადავხედავთ, უმეტესობა მოლაპარაკებებით სრულდება, მაგრამ ამას რუსების მხრიდან სერიოზულობა სჭირდება, რაც ამ ეტაპზე არ ჩანს.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი **უილიამ ბერნსი** მიიჩნევს, რომ უკრაინასთან ომის მომენტში, რუსეთი რეალური მოლაპარაკებისთვის განწყობილი არ არის. ამავდროულად, დაზვერვის ხელმძღვანელის აზრით, მცდარია რუსეთის პრეზიდენტის რწმენა, რომ ის ომის გაგრძელებას კიდევ დიდხანს შეძლებს და ხელს არაფერი შეუშლის.

„ვფიქრობ, ის ცდება ამ ფსონის დადებაში ისევე, როგორც ცდებოდა, ღრმად ცდებოდა ფსონის დადებაში 24 თებერვალს, როდესაც მან ეს ომი დაიწყო. რუსი სამხედროები ახლა „ძლიერ არიან ნაცემი“, უკრაინელი სამხედროები კი, მოტივირებულები არიან, განაგრძონ ზეწოლა და განავითარონ წარმატებები ბრძოლის ველზე, თუმცა უკრაინელებსაც სჭირდებათ დრო ხელახალი აღჭურვისა და მომარაგებისთვის“, — აღნიშნა **უილიამ ბერნსმა.**

მსოფლიო ლიდერები თვლიან, რომ რუსეთ-უკრაინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკება მალე უნდა გაიმართოს, რათა დამანგრეველი მესამე მსოფლიო ომის რისკი შემცირდეს. უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი, **მიხაილო პოდოლიაკი** ამბობს, რომ რუსეთის ფედერაციასთან შეთანხმებას ვერ მიაღწევენ და ომი მხოლოდ მისი დამარცხებით უნდა დასრულდეს. მისი თქმით, ამ მიზნით საჭიროა უკრაინისთვის არტილერიის, ჯავშანტექნიკის, დრონების და შორმანძილზე მოქმედი რაკეტების მიწოდება.

ნატოს გენერალური მდივანი აცხადებს, რომ პუტინი მზადაა გრძელვადიანი ომისთვის და ახალი იერიშებისთვის. როგორც **იენს სტოლტენბერგმა** აღნიშნა, რუსეთი გაჭიანურებული ომისთვის ემზადება, ხოლო ნატოს ქვეყნებმა უნდა გააგრძელონ კიევის მხარდაჭერა და იარაღის მიწოდება, სანამ მისი თქმით, **ვლადიმერ პუტინი** არ მიხვდება, რომ ბრძოლის ველზე გამარჯვება არ შეუძლია.

„არანაირი ნიშანი არ არსებობს იმისა, რომ პუტინმა უარი თქვა თავის საერთო მიზანზე — უკრაინის კონტროლზე. სათანადოდ უნდა შევაფასოთ რუსეთი. რუსეთი გრძელვადიან ომს გეგმავს. ვხედავთ, რომ მეტი ძალების მობილიზებას ახდენენ, მზად არიან დიდი დანაკარგებისთვის, უფრო მეტ იარაღსა და საბრძოლო მასალაზე წვდომის მოპოვებას ცდილობენ. უნდა გვესმოდეს, რომ პრეზიდენტი პუტინი მზადაა გრძელვადიანი ომისთვის და ახალი საიერიშო ოპერაციებისთვის. დიდი ალბათობით, ეს ომი, როგორც ომების უმეტესობა, მოლაპარაკების მაგიდასთან დასრულდება, მაგრამ ნებისმიერმა გადაწყვეტილებამ უნდა უზრუნველყოს უკრაინის, როგორც სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამარჯვება“, — აღნიშნა **იენს სტოლტენბერგმა** და დასძინა, რომ უკრაინისთვის საჰაერო თავდაცვის Patriot-ის სისტემების მიწოდების შესახებ დისკუსია მიმდინარეობს, ნატოს მოკავშირეები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მათ საკმარისი საბრძოლო მასალა და სათადარიგო ნაწილი აქვთ, რათა უკვე მიწოდებულმა შეიარაღებამ იმუშაოს.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდა მაღალი გადაუდებლობის რეჟიმში ხორციელდება. ანალიტიკოსების შეფასებით, ზამთარი იქნება ძალიან დინამიური დრო, მაგრამ არა დასვენებისა და გადაწყობის დროზე, უკრაინელები არ შეჩერდებიან და, რა თქმა უნდა, რუსებიც შეეცდებიან წინ წაწევას.

რუსეთი იყენებს გამოფიტვის სამხედრო სტრატეგიას — ახორციელებენ უკრაინის კრიტიკული და სტრატეგიული ობიექტების განადგურებას, რომლებიც, ბუნებრივია, გავლენას ახდენენ ომის მსვლელობაზე.

ვაგნერის ჯგუფი კავკასიის რეგიონშიც გამოჩნდა, მაგრამ არ ზუსტდება სად...

რუსები რომ მასიური შეტევისთვის ემზადებიან, ამის შესახებ საუბარობს უკრაინის თავდაცვის მინისტრი **ოლექსი რეზნიკოვი.** მისი ინფორმაციით, რუსები იერიშის შემდეგი ტალღის დაწყებას, სავარაუდოდ, თებერვალში გეგმავენ. მისი თქმით, წვევამდელები მინიმუმ სამი თვე ემზადებიან, რაც ნიშნავს, რომ ისინი იერიშის შემდეგი ტალღის დაწყებას აპირებენ.

„მიუსედავად იმისა, რომ უკრაინას ახლა წარმატებით შეუძლია ინფრასტრუქტურის საკვანძო ობიექტების წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის სარაკეტო თავდასხმებისგან თავის დაცვა, ჩნდება იმის მტკიცებულებები, რომ კრემლი ახალ ფართო იერიშს გეგმავს. 300 ათასი ეს არის მობილიზაციის რიცხვი, მათი ნახევარი მინიმალური წვრთნის შემდეგ მოსკოვის მიერ ბრძოლის ველზე განცდილი წარუმატებლობების შედეგად ძალების გასამყარებლად გამოიყენება, ხოლო მეორე ნახევარი კი უფრო საფუძვლიან წვრთნას გადის სამომავლო საიერიშო მოქმედებებისთვის. ნაწილობრივი მობილიზაციის შემდეგ რუსეთი აგრძელებს საკუთარი მოქალაქეები მობილიზაციას“, — აცხადებს **ოლექსი რეზნიკოვი.**

სამხედრო ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** ფიქრობს, რომ მაღალი ალბათობით, რუსები თებერვალში ახალი შეტევისთვის ემზადებიან და ამას ადასტურებს ისიც, რომ რუსები, ფაქტობრივად, ცდილობენ გაარღვიონ უკრაინის მანარგეიმის ხაზი. იმ შემთხვევაში, თუ ეს ხაზი გაარღვიეს, ეს საკმაოდ გაართულებს უკრაინის შეიარაღებული ძალების გეოსტრატეგულ მდგომარეობას და აქედან გამომდინარე, რუსებმა შეიძლება განახორციელონ ახალი სტრატეგიული შეტევების განვითრება უკრაინის მიმართულებით.

„იმედია, რომ უკრაინელები არ დათმობენ მანარგეიმის ხაზს და რუსები ვერ გაარღვევენ მას. სამობილიზაციო ნაწილის 200-ათასიანი ძალა, ეს საკმაოდ სერიოზულია. ამით რუსებს შეუძლიათ ამოავსონ ის ღრმულები, რომელიც მათ ჰქონდათ თავდაცვაში და გააძლიერონ დანაკარგი. გარდა ამისა, რამდენადაც ვიცი, ვაგნერის ჯგუფმა ციხეებიდან დამატებით კიდევ დაიქირავა 23 ათასი მსჯავრდებული და მიდის ეს პროცესი.

ბუნებრივია, ესეც თამაშობს დიდ როლს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების პოტენციალიც ასევე ილევა, მათი რესურსებიც არაა უკიდეგანო. ბახმუტის, ანუ უკრაინის მანერგეიმის ხაზზე, ძირითადად, უკრაინის ყველაზე ბრძოლისუნარიანი შენაერთები არიან თავმოყრილი. რუსები მათ სერიოზულად უტევენ და ახორციელებენ მათთზე სერიოზულ შეტევით ოპერაციას“, — აცხადებს **ვახტანგ მაისაია.**

როგორც სამხედრო ანალიტიკოსი აცხადებს, რუსეთი იყენებს გამოფიტვის სამხედრო სტრატეგიას — ახორციელებენ უკრაინის კრიტიკული და სტრატეგიული ობიექტების განადგურებას, რომლებიც, ბუნებრივია, გავლენას ახდენენ ომის მსვლელობაზე.

„ეს ყველაფერი ერთ ფაქტორად უნდა განვიხილოთ და, როგორც ჩანს, სიტუაცია ამ ზამთარში საკმაოდ რთული იქნება უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის და უკრაინისთვის. მყარდება ეჭვი, რომ პუტინი მზად არის გრძელვადიანი ომისთვის და პრინციპში, ეს გაცხადებული აქვს. შესაბამისად, როგორც ჩანს, ამაზე კეთდება ძირითადად გათვლები და ამაზე ილაპარაკა პუტინმა უშიშროების ბოლო სხდომაზე. რაც შეეხება იმ 23 ათას პატიმარს, მათთზე მიდის მუშაობა, რომელსაც ისინი გამოიყენებენ უკრაინის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში.

ვაგნერის ჯგუფი ეს არის კერძო სამხედრო კორპორაციის მიერ დაქირავებული სამხედრო შენაერთი, ანუ დაქირავებული მებრძოლები, რომლებიც ომობენ როგორც კერძო სამხედრო კომპანიის წარმომადგენლები. დღეს მისი სამხედრო პოტენციალი მოიცავს 30-დან 50 ათას ადამიანს. ბოლო ინფორმაციით, ვაგნერის ჯგუფი გამოჩნდა კავკასიის რეგიონშიც, მაგრამ არ ზუსტდება, კერძოდ სად“, — აღნიშნა **ვახტანგ მაისაიამ.**

თამთა ძარჩავა

მიხაილ პოდოლიაკი კისინჯერს აკრიტიკებს

უკრაინის ხელისუფლება ომის შეწყვეტასთან დაკავშირებით აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჰენრი კისინჯერის პოზიციას აკრიტიკებს.

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრჩეველი მიხაილ პოდოლიაკი აცხადებს, რომ უკრაინის ტერიტორიების ხარჯზე „ცუდი მშვიდობა“ იქნება პუტინის გამარჯვება, ასევე წარმატების რეცეპტი ავტოკრატებისთვის მთელ მსოფლიოში.

„ბატონმა კისინჯერმა ვერაფერი გაიგო_ ვერც ამ ომის ბუნების და ვერც მისი გავლენის შესახებ მსოფლიო წესრიგზე. რეცეპტი, რომელსაც ყოფილი სახელმწიფო მდივანი აყალიბებს, მაგრამ ხმამაღლა თქმის ეშინია, მარტივია: დაამშვიდე აგრესორი უკრაინის ნაწილის შეწირვით ალმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ თავდაუსხმელობის გარანტიებისთვის“, — აცხადებს მიხაილ პოდოლიაკი.

სიცოცხლის სათავეების ძიებაში



ჩარლზ დარვინის ევოლუციის თეორიის შესაბამისად, ჩვენ სკოლის მერხიდანვე ვიცით, თუ როგორ გადააქცია შრომამ და ცხოვრებისეულმა აუცილებლობამ მაიმუნი ადამიანად. ამის შესახებ არაერთი საკმაოდ ნიჭიერად დაწერილი წიგნი არსებობს, მაგრამ მათი ყველაზე სუსტი ადგილია ის გარემოება, რომ თავად მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის დამადასტურებელი უტყუარი მოწმობები, უბრალოდ, არ არსებობს.

დედამიწის წიაღში შემონახულია ყველა ეპოქის ცოცხალი ორგანიზმების ნამარხებად ქცეული ნარჩენები. მათ შორის, აღმოჩენილია როგორც ადამიანის, ისე მაიმუნების მრავალი ნამარხი ნეშტი, **არ არის ნანახი მხოლოდ ადამიანსა და მაიმუნს შორის გარდამავალი არც ერთი შუალედური არსების კვალი**. ამდენად, **„სავსებით სამართლიანად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაიმუნები ყოველთვის მაიმუნები, ხოლო ადამიანები კი ადამიანები იყვნენ! ევოლუციის თეორიას ადამიანის წარმოშობის საკითხში არ გააჩნია არც ერთი მხარდამჭერი უტყუარი მოწმობა“**, – ასკვნის პროფ. ა. თავართქილაძე და დასძენს: **„კვლევები გვიჩვენებს, რომ ის წარმოიშვა დედამიწაზე მაშინვე თავისი ადამიანური სახით“**. მისი თქმით, ასევე ევოლუცია არც ცხოველთა სამყაროში ყოფილა: **„დოქტორმა პატერსონმა – ბრიტანეთის ბუნებრივი ისტორიის მუზეუმის მთავარმა პალეონტოლოგმა, დაწერა დიდი წიგნი ევოლუციის შესახებ. კითხვაზე, თუ რატომ არ მოიყვანა მასში გარდამავალი ფორმების ნახატები, პატერსონმა აღიარა: „თუკი მეცოდინებოდა თუნდაც ერთი მათგანი (ცოცხალი ან გაქვავებული), მაშინ მე უსათუოდ ჩავრთავდი მას წიგნში“. ...პალეონტოლოგთა ინტენსიურ ძიებათა სრულმა წარუმატებლობამ გვიჩვენა, რომ შუალედური ფორმები ბუნებაში არასოდეს არ არსებობდნენ“.**

სავარაუდო ევოლუციისა და სიცოცხლის თვითჩასახვის საკითხების განხილვისას, წიგნის ავტორი, კერძოდ აღნიშნავს, რომ **„...პირველად ოკეანეში, ან ხმელეთის ნესტიან ადგილებში შემთხვევით წარმოიშვნენ ამინომჟავების მოლეკულები, შემდეგ ეს მოლეკულები შეჯგუფდნენ გროვებად, სადაც დაიწყო ცილების შემთხვევით წარმოქმნის პროცესი“**, თუმცა კი შემდეგ განმარტავს, რომ **„ასეთ პროცესში ცილოვანი მოლეკულის შემთხვევითი წარმოშობის ალბათობა 10 მინუს 325 ხარისხშია(!) და ამასთანავე ცილა იყო ბიოლოგიურად არაექტიური“**. საქმე ისაა, რომ ბიოლოგიურად აქტიური ცილები მხოლოდ მარცხენა ბრუნვის ამინომჟავებს შეიცავენ, ქიმიურად კი მარტო მარჯვენა ბრუნვის ამინომჟავები წარმოიშვებიან. ამდენად, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ სიცოცხლის ჩასახვისთვის აუცილებელი მარცხენა ბრუნვის ამინომჟავები – ასე მარჯვენა ბრუნვის ამინომჟავებისგან გამოყოფილად, – სადმე ცალკე გროვდებოდნენ ბიოლოგიურად აქტიური ცილების შესაქმნელად! **„მაშასადამე,** – ასკვნის ავტორი, – **სიცოცხლე თვითნებურად არ შეიძლება წარმოქმნილიყო“**.

დიდი ფიზიკოსის თ. ედისონის თქმით, **„ღმერთის არსებობა შეიძლება დამტკიცდეს ქიმიური გზით. თანამედროვე გენეტიკის, ბიოქიმიისა და მოლეკულური ფიზიკის კვლევები იმას მიანიშნებენ, რომ სიცოცხლეს აუცილებლად ჰყავს შემოქმედი.“**

საგულისხმოა ამ მხრივ ისააკ ნიუტონის აზრი: **„ბრმა ფიზიკური აუცილებლობის გათვალისწინებით, რომელიც ყოველთვის და ყველგან ერთნაირია, არ შეიძლება წარმოქმნილიყო არანაირი მრავალფეროვნება... შექმნილი საგნების მრავალფეროვნება შეიძლება წარმოქმნილიყო მხოლოდ თვითმყოფადი არსების აზრითა და ნებით, რომელსაც მე ვუწოდებ უფალ ღმერთს“**, – წერს პროფ. ა. თავართქილაძე, ვიდრე დედამიწის გეოლოგიური ისტორიის ზოგიერთი ასპექტის განხილვას შეუდგებოდეს.

ერთ-ერთ ასეთ გამოცანად, ავტორი ეგრეთ წოდებულ **პოლისტრატულ ნამარხებს** ასახელებს, რომლებსაც გეოლოგიურად ერთმანეთისგან მილიონობით წლებით დაშორებულ შრეთა წყებებში ვპოულობთ. ასე მაგალითად, მიგნებულია გაქვავებულ უძველეს ხეთა ნარჩენები, რომელთა ფესვების სისტემები ზოგჯერ ზევითაა მიმართული(?!). მსოფლიოში ასეთი რამდენიმე „ქვის ტყეა“ აღმოჩენილი.

იგი სვამს კითხვას, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ სიკვდილის შემდგომ ცოცხალ არსებათა ნეშტები უმალ – თუნდაც რამდენიმე თვის განმავლობაში – არ დაშლილიყვნენ და ნალექების სქელი ფენით დაფარულიყვნენ, რასაც ათიათასობით წელი სჭირდება?

დედამიწის სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილია დინოზავრების მთელი სამარხები, რომელთა უზარმაზარი სხეულები ლამის სრულიად საღადაა შენახული. სპეციალისტები დიდი ხანია მივიდნენ დასკვნამდე, რომ ისინი რაღაც პლანეტარული მასშტაბის კატასტროფის მსხვერპლი გახდნენ. გარდა ამისა, ნაპოვნია ნამარხი ორსაგდულიანი მოლუსკების დახურული ნიუარები, რაც ასევე უეცარი სიკვდილის უტყუარი ნიშანია, რადგან თანამედროვე მკვდარი მოლუსკების საგდულები ყოველთვის გახსნილია.

ერთობ თავისებურ მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. ა თავართქილაძე ისტორიული გეოლოგიის მხრივაც, რომლის თანახმად, დედამიწის ქერქის ამგები ქანები მილიონობით წლების მანძილზე წარმოიშვებოდნენ და ამის მაგალითად აშშ-ში 1980 წელს სენტ-გელენსის ვულკანის აფეთქების ამბავი მოჰყავს, რასაც, მისი თქმით, „მრავალი გეოლოგიურ-პალეონტოლოგიური გამოცანის“ ამოხსნა მოჰყვა.

ვულკანის აფეთქების სიმძლავრემ 400 მილიონი ტონა ტროტილის ეკვივალენტი შეადგინა, რაც 20 ათასი ხიროსიმაში აფეთქებული ბომბის ტოლფასია. ექვს წუთში 400 კვადრატული კილომეტრის ფართობზე წაიქცა ტყეები, ახლოს მდებარე ტბაზე წარმოქმნილმა ტალღამ 260 მეტრი სიმაღლის ბორცვიდან დაახლოებით მილიონი ხე ჩაიტანა წყალში, რომლებმაც მისი სარკის თითქმის ნახევარი დაფარეს. 18 მაისიდან 12 ივნისადმე დროის მონაკვეთში... ტბაში ჩატანილი მასალის დალექვის სიჩქარემ დღე-ღამეში 8 მეტრი შეადგინა(!).

ამდენად, **„ვულკანის შესწავლამ სენტ-გელენსში თვალსაჩინოდ გვიჩვენა, რომ შეიძლება არც კი ყოფილიყო გეოლოგიური სვეტის ჩამოყალიბების მილიარდობით წელი. ის შეიძლება წარმოქმნილიყო არც ისე დიდი ხნის წინ კატასტროფის გზით, მაგალითად, ყველაზე ცნობილი გლობალური კატასტროფის – მსოფლიო წარღვნის შედეგად, ხოლო მსხვილი ეროზიული სტრუქტურები შეიძლება ჩამოყალიბებულიყო ჯერ კიდევ გაუმყარებელ ამოფრქვეულ ქანებში წარღვნის წყლების უკუდენის შედეგად“**, – აცხადებს მეცნიერი.

სენტ-გელენსში ამოფრქვევამ საგრძნობლად შეცვალა მეცნიერების შეხედულებები გეოლოგიური სტრუქტურების წარმოქმნის შესაძლო დროსა და მათი ასაკის განსაზღვრის პრინციპზე, ამბობს მკვლევარი და ასეთი მაგალითი მოჰყავს: **„ვთქვათ, მოხდა კატასტროფა და მან ჩამარხა ზღვის ყურე და მისი ბინადრები. უცნობი დროის გავლის შემდეგ ამ ადგილას გაიზარდა ტყე და მასში დასახლდნენ მხეცები. მორიგმა კატასტროფამ ჩამარხა ისინიც. მიუთითებს თუ არა ასეთი შრე სიცოცხლის ევოლუციურ განვითარებაზე მილიონი წლების განმავლობაში? შრეების თანმიმდევრობა სულაც არ წარმოადგენს ნელ და თანდათანობით აღმავალ ქვაში სიცოცხლის განვითარების ისტორიას“.**

ბოლო წლებში ჩატარდა სერიოზული კვლევები, რომლებიც მეცნიერული ფაქტებით უარყოფენ გეოლოგიური ფენების დათარიღების სამართლიანობას. პროფ. ა. თავართქილაძის თქმით, ასევე არასაიმედოა ქანების დათარიღების **რადიოიზოტოპური** მეთოდის იმედად ყოფნა, მათში **„განსაზღვრული ქანებისა და მინერალების არარსებობის გამო“**. მაინცდამაინც სანდოდ მას არც გეოლოგიური ასაკის გამოანგარიშების **ეროზიული გამოფიტვის** სიჩქარით განსაზღვრის მეთოდი მიაჩნია.

მაგრამ, რა იქნება, თუკი მსოფლიო წარღვნის რეალობას წარმოვიდგენთ? **„ეს არ იყო უბრალოდ წვიმა, ძველი მთები საგრძნობლად დაბალი იყო თანამედროვე მთებზე, მაგრამ არავითარი წვიმა არ დატბორავდა მათ თვით მწვერვალებამდე. ძირითადი წვლილი წარღვნისწინა რელიეფის დაფარვაში შეიძლება შეეტანა ოკეანეს მომსკდარ წყლებს“**, – ვარაუდობს მეცნიერი და ბიბლიური წარღვნის მეცნიერულ ვერსიას შემდეგნაირად აყალიბებს.

ცნობილია, რომ გეოლოგიური ისტორიის ცარცულ პერიოდში, დედამიწა უზარმაზარ ასტეროიდს შეეჯახა, რის სიმძლავრემ ტროტილის ეკვივალენტში ათი მეთოთხმეტე ხარიხსში ტონა, ანუ 5 მილიარდი ხიროსიმაში აფეთქებული ბომბი შეაგინა(!). დედამიწის მანტიაში ქერქის ნამსხვრევების გადაადგილების შედეგად ხახუნმა მისი გახურება და სიბლანტის ექსპონენტურად მკვეთრი გაზრდა გამოიწვია. თანამედროვე კონტინენტების მაშინდელი „წინაპარი“ – სუპერკონტინენტი პანგეა, რამდენიმე ნაწილად დაიშალა, რომლებიც თხევად მანტიაში ადვილად გადაადგილდებოდნენ. ტექტონიკურმა მოძრაობებმა მსოფლიო ოკეანის ფსკერის ამოწევა გამოიწვიეს. შესაბამისად, წყლის დონემ მკვერთად აიწია. **„წყალი მიაწყდა ზედაპირს, იშლებოდა რა სხვადასხვა მხარეს, წალეკა მცენარეულობა და დატბორა ყველაფერი...“** საშინელი მიმოქცევებისა და შტორმების შემდეგ ჩამორეცხილ ქანებში ილექებოდნენ ცოცხალი ორგანიზმები.

მეცნიერები დიდი ხანი კამათობენ დედამიწაზე ქვანახშირის წარმოშობის თაობაზე. ქვანახშირი შეიძლებოდა წარმოშობილიყო კოსმოსური კატასტროფის სწორედ იმ პირობებში, რომლებიც „ყოფიერების“ წიგნშია აღწერილი – მაღალი ტემპერატურისა და წნევის თანხვედრის შემთხვევაში. კონტინენტების აღზევებისას ასეთი საბადოები ზედაპირზე წარმოიშვნენ. **„ნახშირის ფენების ჩაწოლას გააჩნია სხვა უცნაური თვისებებიც, რომლებიც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ავხსნათ წარმოქმნის კლასიკური პოზიციებიდან“**, – აცხადებს მეცნიერი და იქვე განმარტავს, რომ **„წარღვნის ანალოგიურ პირობებში ნავთობი შეიძლება მიღებულ იქნას ორგანული ნივთიერებებისგან სულ 20 წუთში... სრულიად გაუმდინარი ქანები არ არსებობს, ამდენად მილიონობით წელიწადი ნავთობი და გაზი უსათუოდ გაუონავდა“**. წარღვნის მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ ასევე ნამარხი დინოზავრები, რომელთა უაღრესად უჩვეულო პოზები – გადაგდებული თავებით, გაშლილი კიდურებით და ა. შ. – მიუთითებს მათ სწრაფ განმარხებაზე.

მოამზადა

ოთარ ტურაგელიძემ

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №184, 186, 187

ორი პლანეტა, რომლებიც ძირითადად წყლით არის დაფარული

ჩვენგან 218 სინათლის წლის მანძილზე მდებარე ერთი ციცქნა ვარსკვლავის გარშემო მოძრავი ორი პლანეტა სავარაუდოდ იმ სახის არის, როგორიც მზის სისტემაში საერთოდ არ გვაქვს.

ამ ეგზოპლანეტებს კეპლერ-138c და კეპლერ-138d ჰქვიათ. ორივე მათგანის რადიუსი დედამიწისაზე დაახლოებით 1,5-ჯერ მეტია და როგორც ჩანს, ორივე საკმაოდ ტენიანი პლანეტაა, აქვთ სქელი, ორთქლიანი ატმოსფერო და საოცრად ღრმა ოკეანეები, რომლებიც გარს აკრავს კლდოვან-ლითონურ წიაღს.

კიდევ ერთი სხვა პლანეტის ბოლოდროინდელმა ანალიზებმა აჩვენა, რომ ის შეიძლება მთლიანად წყლით დაფარული პლანეტა იყოს, მაგრამ ამის დასამტკიცებლად დამატებითი კვლევები მაინც საჭიროა. მკვლევართა განცხადებით, მათ მიერ კეპლერ-138-ის ორ პლანეტაზე ჩატარებული კვლევა გაცილებით დამაჯერებელია.

იმის დადგენა, თუ რისგან შედგება მზის სისტემის მიღმა არსებული პლანეტები (ანუ ეგზოპლანეტები), როგორც წესი, საკმაოდ დიდ შრომას მოითხოვს. ისინი ძალიან შორსაა და ძლიერ მკრთალებია იმ ვარსკვლავებთან შედარებით, რომლებსაც გარს უვლიან; ურთულესია პირდაპირი გამოსახულებების გადაღებაც და თუნდაც ეს მოხერხდეს, ფოტოებზე არც ისე ბევრი რამ ჩანს.

იხ. 11 გვ.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ – ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ უფსკრულთან მიახლოების შესახებ დიდი ხანია, აფრთხილებდნენ. და არა „გარე და შიდა მტრები“, რომლებიც კრემლმა გამოიგონა, არამედ ქვეყნის ნამდვილი პატრიოტები. თუმცა მათაც, ტრადიციისამებრ, მტრებად აცხადებდნენ. და აი, უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის მე-9 თვისთვის პუტინის “ძლევამოსილი დერეფანი“, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის იმპერიის აღდგენისა და “ერთპოლარული მსოფლიოს შეცვლის“ პრეტენზიები გააჩნდა, ერთიანად უფსკრულში გადაეშვა.

როგორც აღმოჩნდა, თითქმის სრულად იმპორტდამოკიდებული რუსული ეკონომიკა, რომელსაც სახელდახელოდ დაუპირეს სამხედრო ლიანდაგზე გადაყვანა, კარტის სახლივით იშლება. იმპორტჩანაცვლებამ, რომელზეც კრემლი ესოდენ დიდ იმედებს ამყარებდა, სრული კრახი განიცადა. დასავლური სანქციების შიშით სულ უფრო მეტი პარტნიორი ქვეყანა აცხადებს უარს რუსულ ენერგომატარებლებზე, მიუხედავად არნახული ფასდაკლებებისა, რომლებმაც ბოლო თვეებში ყველა რეკორდი მოხსნა. არადა, რუსეთის შემოსავლების ამ ერთ-ერთი მთავარი წყაროს კუთხით ყველაზე მძიმე სანქციები ჯერ კიდევ წინაა. „ნაწილობრივი“ სამხედრო მობილიზაციის გამოცხადება და ქვეყნიდან მოქალაქეების მასობრივი გაქცევა კიდევ უფრო ამძიმებს სამუშაო ძალის დეფიციტს, რომელმაც ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მაქსიმალურ მაჩვენებლს მიაღწია, ხოლო ქვეყნიდან სპეციალისტების გადინება – რუსეთის ისედაც არასახარბიელო სამომავლო პერსპექტივას.

და რისთვის ეს ყველაფერი? რუსეთი ხომ, უკვე 100 000-ზე მეტი დაღუპულისა და დაჭრილის მიუხედავად, სამარცხვინოდ მარცხდება. და არა რაღაც „სპეციალურ სამხედრო ოპერაციაში“, არამედ მის მიერ წამოწყებულ, უპირველესად მისთვისვე დამღუპველ ომში. და არა „სახალხოში“ ან „სამამულოში“, როგორადაც ბოლო დროს ამ ომის გასაღებას კრემლელი პროპაგანდისტები ცდილობენ, არამედ დამპყრობლურში იმ სუვერენული მეზობლის წინააღმდეგ, რომელიც იმპერიალისტებისთვის მეტისმეტად კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. და ომში არა „კოლექტიურ დასავლეთთან“, როგორც რუსი პროპაგანდისტები ირწმუნებიან, არამედ ევროპის მართალია, ყველაზე მსხვილ, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთ სახელმწიფოსთან – უკრაინასთან, რომელმაც მედგრად იტვირთა თავის მხრებზე აბსოლუტურ ბოროტებასთან ბრძოლა – როგორც საკუთარი დამოუკიდებლობის დასაცავად, ისე რუსეთის ყველა იმ მეზობელი და არა მარტო მეზობელი ქვეყნის მშვიდი მომავლისთვის, რომელთაც ამ ბოროტებამ წარსულში უკვე გადაუარა და შეეძლო, გადაევლო მომავალშიც. მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ კი, იხილა რა ეს აბსოლუტური ბოროტება უკვე ევროპის გულში, ამჯერად, როგორც იქნა, გადაწყვიტა, დახმარებოდა თავდასხმის მსხვერპლს არა მარტო სიტყვიერად, არამედ საქმითაც და დიახ, მნიშვნელოვან დახმარებას უწევს უკრაინას იარაღით, ფინანსებით, სანქციებით, მაგრამ არა ცოცხალი ძალით. თუმცა ცოცხალი ძალა, თუ 9 თვის შედეგებით ვიმსჯელებთ, საჭიროც არაა: რუსეთმა ხომ უკვე დაიწყო მიტაცებული უკრაინული ტერიტორიების იძულებითი დაბრუნება და ახლა კრემლი დილემის წინაშეა: რა ნაკლებსაშიში იქნება მისთვის – აღიაროს ანექსია შეცდომად, თუ რუსეთის „ძლევამოსილება“ – ბლეფად?

ამ დილემისა და ზოგადად იმ ჩიხის დემონსტრირებად, რომელშიც პუტინის რუსეთმა თავად მოიმწყვდია თავი, იქცა კრემლის ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტის – ვლადიმირ სოლოვიოვის ამასწინანდელი ეთერი ცნობილი რუსი დეპუტატის – კონსტანტინე ზატულინის მონაწილეობით. მათ შორის გაჩაღებული პოლემიკა ნათლად წარმოაჩენს, სხვა ბევრ რამესთან ერთად, რუსეთის მიერ არა მარტო საერთაშორისო, არამედ საკუთარი კანონმდებლობის დარღვევასაც, კერძოდ – იმ ფაქტს, რომ ანექსიასთან დაკავშირებული ამასწინანდელი საკონსტიტუციო ცვლილებები კრემლს საკუთარი სამხედრო დოქტრინის დარღვევასაც კი აიძულებს.

ამასობაში რუსეთი უკვე ოფიციალურადაა აღიარებული ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად, პუტინის რეჟიმის წარმომადგენლებისთვის ჰორიზონტზე საერთაშორისო ტრიბუნალის გზით გასამართლების სრულიად რეალური პერსპექტივა გამოჩნდა, რუსეთის დამოუკიდებელი საექსპერტო საზოგადოება კი სულ უფრო აქტიურად საუბრობს ქვეყნის მოახლოებულ დაშლაზე. ყალმუხებმა ხომ უკვე მიიღეს დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაცია და „დამოუკიდებლობის დასაცავად ბრძოლისთვის“ მზადებაც დაიწყეს. რიგშია ფედერაციის კიდევ რამდენიმე სუბიექტიც.

კრემლის მიმართ მათი მრავალი პრეტენზიიდან ერთ-ერთი ფაშისტურ იდეოლოგიაში მდგომარეობს.

„მმართველობის 22 წლის განმავლობაში პუტინმა რუსეთი სრულფასოვან ფაშისტურ ქვეყნად აქცია. ფაშიზმის ყველა ნიშანი სახეზეა: უკიდურესი ავტორიტარიზმი; სახელმწიფოს მოწყობა კორპორაციის მსგავსად, სადაც ყველა სახელისუფლებო შტო (საკანონმდებლოს და სასამართლოს ჩათვლით) უზენაესი მმართველის მიერ იმართება; ერთი ერის დანარჩენებზე ზეობის იდეა; ახალი ტერიტორიების დაპყრობისკენ სწრაფვა; ტოტალური პროპაგანდა, რომელიც არწმუნებს მოსახლეობას, თითქოს ქვეყანა მტრების ალყაშია; ნებისმიერი ოპოზიციის, განსხვავებული აზრის, სიტყვის თავისუფლების განადგურება და ა.შ. (...) საბედნიეროდ, რუსეთის ისტორიის პუტინისეული პერიოდი დასარულს უახლოვდება. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ამას აცნობიერებს პუტინის უახლოესი გარემოცვაც. პირდაპირ ვთქვათ: რუსი დიქტატორის ბედი ახლა უკრაინის შეიარაღებული ძალების ხელშია. და ის, როგორც ჩანს, ამას თავადაც ხვდება“, – წერენ დამოუკიდებელი რუსი ანალიტიკოსები.

რა გასაკვირია, რომ მთელი მსოფლიო, რამდენიმე დიქტატორული რეჟიმის (ბელარუსული, ირანული, ჩრდილოეთკორეული) გამოკლებით, თავს არიდებს პუტინის რეჟიმის არათუ ღია მხარდაჭერას, მასთან ურთიერთობასაც კი და გაურბის, როგორც კეთროვანს. მასთან ურთიერთობები ტოქსიკურად იქცა იმ ქვეყნების ლიდერებისთვისაც კი, რომელთაც მოსკოვი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ „სანდო უმცროს პარტნიორად მიიჩნევდა. ეს სიახლე უკვე არაერთგზის წარმოჩინდა ბოლო დროის სხვადასხვა სამიტებზე, მათ შორის – ნოემბრის ბოლოს ОДКБ-ს (კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია) წევრი ქვეყნების ლიდერების მორიგ შეხვედრაზე ერევანში. პრეზიდენტ პუტინს, რომელიც სომხეთს ყარაბაღის 2020 წლის 44-დღიანი ომის დროიდან პირველ ვიზიტად ეწვია, დახვდნენ ლოზუნგებით „პუტინი მკვლელია! დიდება უკრაინას!“. სომხური ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „სომხეთისადმი არამეგობრული და მეტიც, მტრული ქვეყნების ლიდერების ვიზიტებს სათანადო წინააღმდეგობა უნდა შეხვდეთ“.

პრემიერმა ნიკოლ ფაშინიანმა კი უარი განაცხადა შემაჯამებელი დეკლარაციის ხელმოწერაზე იმ მოტივით, რომ რუსეთი და ОДКБ „თავს არიდებენ აზერბაიჯანთან კონფლიქტში სომხეთის მხარდაჭერის ვალდებულების შესრულებას“. თავის დროზე რუსეთის ინიციატივით ჩამოყალიბებული და მოქმედი ამ ორანიზაციის შიგნით მომწიფებული უთანხმოებები საჯარო სივრცეში გადმოიფრქვა და კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენა მისი სამომავლო არსებობა. პუტინის რეჟიმის ინიციატივით ნებისმიერი ახალი კავშირისა თუ ბლოკის ჩამოყალიბების პერსპექტივებზე ხომ საუბარიც ზედმეტი გახდა.

და აი, ამ რეალობაში უწინდელზე მეტი მონდომებით უმტკიცებს მოსკოვს ერთგულებას აფხაზეთის მმართველი გუნდი. „პრეზიდენტმა“ ასლან ბჟანიამ ამასწინათ კვლავ განაცხადა, რომ “რუსეთის ფედერაციასთან დაახლოების ვექტორი ურყევია და უალტერნატივო“. „საგარეო საქმეთა მინისტრი“, კრემლის შეგირდი ინალ არძინბა კი კვლავინდებურად ურევს მოსახლეობას ტვინს ზღაპრებით რუსულ საინტეგრაციო პროექტებში (დაშლის პირას მყოფ ОДКБ-სა და მკვდრადშობილ „რუსეთ-ბელარუსის საკავშირო სახელმწიფოში“) ინტეგრაციის „პერსპექტიულობის“ თაობაზე, რასაც ბოლო დროს “ირანთან დაახლოების პერსპექტიულობის“ შესახებ ნარატივიც დაამატა. ამასთან, მმართველი გუნდის წარმომადენლები ცდილობენ, დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ „აფხაზეთს არ ძალუძს, დამოუკიდებლად შეინარჩუნოს საკუთარი სუვერენიტეტი და ამდენად, იგი რუსეთის ფედერაციას უნდა გაუნაწილოს“.

მსგავსი პოლიტიკის საპირწონედ 22 ნოემბერს აფხაზეთში ჩამოყალიბდა „ფართო პოლიტიკური პლატფორმა“, რომელიც პოლიტიკოსების ახალ თაობასა და საზოგადო მოღვაწეებს აერთიანებს. თავის მანიფესტში ისინი აკრიტიკებენ ასლან ბჟანიას გუნდს სწრაფვისათვის, “უწილადოს (რუსეთს – რედ.) ბუნებრივი, ტერიტორიული, ენერგეტიკული და სხვა აქტივები“.

სწორედ ასე აღიქვამენ ხელმომწერები დე ფაქტო მთავრობის შეთანხმებას რუსეთის საკუთრებაში ბიჭვინთის ტერიტორიის ნაწილის გადაცემის შესახებ, ასევე საკანონმდებლო ინიციატივებს მოსკოვისთვის აფხაზური ენერგოსისტემის გადაცემისა და მედიისა და NGO-სექტორის წარმომადგენლების „უცხოეთის აგენტებად“ გამოცხადების თაობაზე, ისევე, როგორც „საკუთარი დღის წესრიგის აბსოლუტურ არქონას საგარეო პოლიტიკის, დემოგრაფიისა და სხვა კუთხით, რეპატრიაციის პროცესის ფაქტობრივ შეჩერებას, ჯარში არსებული რეალური ვითარების იგნორირებასა და სხვა დანარჩენს“. ხელმომწერები დარწმუნებულები არიან, რომ „თანამედროვე მსოფლიოს პირობებში რეფორმების არარსებობა საფრთხეს უქმნის ქვეყანასა და ხალხს, ხოლო ჩამორჩენა-განვითარებაში არა მარტო სუვერენიტეტს აყენებს რისკის ქვეშ, არამედ თავად აფხაზი ხალხის არსებობასაც“.

„იქმნება შთაბეჭდილება, რომ მმართველმა პოლიტიკურმა კლასმა დაკარგა აფხაზური სახელმწიფოს პროექტის განხორციელების რწმენა და გეგმავს, მხოლოდ ფორმალურად ატივტივოს იგი ზედაპირზე საერთო სახალხო აქტივების გასხვისების ხარჯზე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არ დავუშვებთ ამ გეგმის რეალიზებას!

კატეგორიულად არ ვეთანხმებით თეზისს, თითქოს ჩვენს ხალხს არ შესწევს უნარი, საკუთარი პრობლემები თავად აგვაროს. დარწმუნებულები ვართ, მსგავსი მიდგომების გამტარებლებს მორალური უფლება არ აქვთ, ქვეყნის სათავეში იდგნენ“, – ნათქვამია მანიფესტში.

ახალი პლატფორმის მიზნებად „ეროვნული აქტივების შენარჩუნება, პოლიტიკური სისტემის რეფორმირება, ხელისუფლებაში ახალი თაობის მოსვლა, აფხაზეთის, როგორც სუვერენული, თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარება“ დასახელდა.

რა გამოვა ამ წამოწყებიდან – დრო გვიჩვენებს. მაგრამ ეს დრო არც ისე ბევრია.

ᲔᲙᲐ ᲪᲐᲜᲐᲕᲐ

ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ „ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ“ ᲛᲘᲐᲜᲓᲔᲡ

აფხაზეთი ჩვენი...



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო. მის ქუდქვეშ — კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო. აქ ბევრი რამ იგულისხმება: უნივერსიტეტი, სკოლები, თეატრები, ანსამბლი, კაბელა... საბედნიეროდ, ჟურნალებიც იგულისხმება. კიდევ უფრო საბედნიეროდ, — საყმაწვილო ჟურნალიც, თავისი დამატებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ უაფხაზეთოდ დაბადებულ თაობას იქაური მიწა, ზღვა, ცა არ დავავიწყოთ და შევაყვაროთ, მათი სული შევაგრძნობინოთ, იქ დაბრუნების რწმენა არ წავუშალოთ. შემთხვევით არ ჰქვია ჟურნალს „იალქანი“. 25 წელი გასულა მისი დაარსებიდან. ამ თარიღს მიეძღვნა საღამო: „შეხვედრა ავტორებთან 25 წლის შემდეგ.“ აქ ჟურნალის დიდ მნიშვნელობაზე, მისი მცირერიცხოვანი რედაქციის წარმატებულ საქმიანობასა და გამოწვევებზე ისაუბრეს მინისტრმა ეკა ხოფერიამ, სააგენტოს დირექტორმა ლიკა კვარაცხელიამ, ჟურნალის დამაარსებელმა სალომე კაპანაძემ, პუბლიცისტმა ვახტანგ ბახტაძემ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ნუგზარ მგალობლიშვილმა და თამაზ ხუბუამ, პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ, პუბლიცისტმა გიგლა გობეჩიამ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარმა რედაქტორმა სპარტაკ ქობულიამ, ახალგაზრდა პროზაიკოსმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა დაჩი ახვლედიანმა, ჟურნალის რედაქტორმა ნანა ჭანტურიამ. დარბაზს ამშვენებდა პასუხისმგებელი მდივნის, შესანიშნავი საბავშვო მხატვრის დალი მუხაძის ასევე შესანიშნავი „სადიდო“ ნამუშევრები, მისი ლექსები კი სოხუმის თეატრის მსახიობმა მარინა სოლომონიამ წაიკითხა. ჟურნალის მხატვრულმა რედაქტორმა ნუნუ ჯანელიძემ კი საკუთარი პოეტური ნაწარმოებები აუდიტორიას თვითონვე გააცნო. ბევრი რამ ითქვა საგულისხმო ამ მართლაც შინაარსით დატვირთულ შეხვედრაზე. განსაკუთრებით გამორჩეული კი იტალიელი ისტორიკოსის ფრანჩესკო ტრეჩის გამოსვლა იყო. ამ ფლორენციელმა დაუსწრებლად შეიყვარა საქართველო, შემდეგ კი მოინახულა და უკვე მერვედ ესტუმრა. ჩვენი ენაც შეისწავლა (კვლავაც აგრძელებს) და შესანიშნავი ქართულით გვესაუბრა. „იალქანში“ კი უკვე გამოქვეყნებული აქვს სტატია საქართველოზე, მეტად შთამბეჭდავი სათაურით: „ქვეყანა, რომელიც ღმერთს თავისთვის უნდოდა.“ საღამოს წამყვანმა, პუბლიცისტმა იოსებ ჭუმბურიძემ, ფაქტობრივად, მომხსენებლის როლიც შეითავსა და საკუთარი სათქმელი ესსედ წარმოგვიდგინა. დღეს ამ ესსეს „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს ვთავაზობთ.

„იალქნით“ დაბრუნებამდე...



„იალქანი“ და „აფქიო“.

პირველი საყმაწვილო ჟურნალია, ანუ მოზარდებისთვის, რატომღაც, თინეიჯერებს რომ უწოდებენ.

აკაკი ბაქრაძეს სურდა, კიდევ უფრო ძველი და უფრო ქართული „ნინველი“ გაეცოცხლებინა, მაგრამ ვერ დამკვიდრდა, ფეხი ვერ მოიკიდა.

ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია, თანაც, „საღვთო რამ არის“ (ილია) და ძალდატანებით არაფერს მიიღებს.

„აფქიოს“ სულხან-საბა ასე განმარტავს: „ნავის აფრა.“

და ეს სახელი ზედგამოჭრილია ყველაზე პატარებისთვის განკუთვნილი კონა-კრებულისთვის, რომელიც „იალქანს“ უბეში ჰყავს ჩახუტებული.

ასე მგონია, რედაქტორს ის უფრო უყვარს.

უფრო ზუსტად, ასე უნდა ითქვას:

ეს უთუოდ ის განსხვავებული გრძნობაა, დედას ყველაზე მცირეწლოვან შვილთან ბუნებრივად რომ აკავშირებს.

რედაქტორი ნანა ჭანტურიაა.

დღენიადაგ ამ ორ ჟურნალზე მოფიქრალი.

უფრო ზუსტად, — ჟურნალსა და მის დამატებაზე.

* * *

ბოლო დროს სიტყვებმა ნამდვილი მნიშვნელობა, თითქოს, დაკარგეს, ისე განუკითხავად ვიყენებთ.

აქ კი გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნანა თავის საქმეს თავდადებით ემსახურება.

რამდენიმე თვის წინათ, დიდი ხიფათი რომ შეემთხვა, მარჯვენა ხელი მოიტეხა და, საერთოდ, ძლივს გადარჩა, საკუთარ თავსა და აუტანელ ტკივილებზე მეტად, იმაზე წუხდა, „იალქანსა“ და „აფქიოს“ რა ეშველებაო.

რთული ოპერაციის შემდეგ, ფაქტობრივად, ლოგინს მიჯაჭვულმა მოამზადა ჟურნალის ახალი ნომერი, ისე, როგორც სჩვევია — „ორი ხელითა“ და მთელი გულით.

ის ასეთია.

ეს მისი ბუნებაა.

ერთხელ, ძველი საბავშვო ჟურნალების განთქმულ რედაქტორებს — ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას („ჯეჯილი“) და მარიამ ივანიშვილ-დემურიას („ნაკადული“) შევადარე.

რა თქმა უნდა, საქმისადმი დამოკიდებულებით, უდიდესი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით.

სხვათა შორის, ასეთი შედარებისკენ მურმან ლებანიძის ამ სტრიქონებმა მიბიძგეს:

„მიყვარს ნანი ბრეგვაძე ძველ დედებთან მსგავსებით“...

რით უნდა ჰგავდეს „ძველ დედებს“ ის, ვინც 86 წლის ასაკშიც ყველა გაგებით ყველაზე თანამედროვეა?!

რა თქმა უნდა, პროფესიისადმი დამოკიდებულებითა და პასუხისმგებლობით.

ნანაც ამით ჰგავს ზემოხსენებულ „ძველ რედაქტორებს“ — თვალსაჩინო ქართველ მოღვაწე ქალბატონებს.

* * *

ახლა კი თვითონ ჟურნალ(ებ)ზე უნდა ვთქვათ.

არსებობს ძალიან კარგი ქართული სიტყვა, რომელიც ჟურნალის ვიზუალური მხარის შესაფასებლად ყველაზე მეტად გამოდგება: სახოვანება.

„იალქანიც“ და „აფქიოც“, სახოვანებით, უდავოდ გამორჩეულია: პრიალა, ფერადი, ფერადოვანი...

ესეც სათქმელია: შეიძლება, იყოს პრიალაც, ფერადიც, მაგრამ უგემოვნო.

„იალქანსა“ და „აფქიოზე“ ამას მტერიც ვერ იტყვის.

ყოველთვის გამორჩეულია მათი გარეკანიც, თანაც იმაზე აშკარად მიმანიშნებელი, რომ ერთი მოზარდებისთვისაა, მეორე — ყველაზე პატარებისთვის.

სანიმუშოა თითოეული პუბლიკაციის გაფორმება — შრიფტი, ილუსტრაცია, მასალათა განლაგება...

* * *

მაგრამ მთავარი მაინც შინააარსია, მურმან ჯგუბურია შინამოს რომ უწოდებდა.

ამ თვალსაზრისით, „იალქნის“ შესაქებად ის ფაქტიც იკმარებს, რომ ექსკლუზიურად მისთვის წერს არაერთი ცნობილი ავტორი, მათ შორის, საქართველოს (იქნებ სულაც თანამედროვე მსოფლიოს?) ყველაზე დიდი მეზღაპრე — გურამ პეტრიაშვილი.

ამ ჟურნალ(ებ)ით აღფრთოვანებას არ მალავდა და წერილობითაც ადასტურებდა დიდი ქართველი მწერალი გურამ დოჩანაშვილი.

რაც შეეხება „აფქიოს“, ასეთმა კონა-კრებულმა შეუძლებელია, ერთნაირად არ გაახაროს პატარების თვალი და გული.

ამ პაწია ჟურნალში განსაკუთრებით ის რუბრიკა მომწონს, სადაც პატარები ჟურნალის რედაქტორის შეკითხვებს უპასუხებენ.

ერთ-ერთ შეკითხვაზე — რა არის სამშობლო? — სამი წლის ქეთუსია ზაქარაიას პასუხი ასეთია: „სამშობლო სიხარულია“...

ამაზე დიდი სიხარული რა უნდა იყოს?!

* * *

ბარემ ამასაც აქვე ვიტყვი:

მაქვს რამდენიმე შენიშვნა ჟურნალის ცალკეული პუბლიკაციების მიმართ, რომელთაც რედაქტორს აუცილებლად გავუზიარებ. ეს მევალება კიდეც. ამ შენიშვნებს ადვილად მოევლება, თუ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი აღმოჩნდება.

მთავარი პრობლემა კი სულ სხვა რამ მგონია: ეს სახიერი და აზრიანი ჟურნალ(ებ)ი დაუბრკოლებლად უნდა მივიდეს იმათთან, ვისთვისაც იქმნება.

ამ პრობლემას კი, რასაკვირველია, მარტო რედაქტორი ვერ გადაწყვეტს.

ამაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ — საგამომცემლო ჯგუფმა, სააგენტომ, სამინისტრომ...

* * *

და ბოლოს სათქმელი:

როცა აფხაზეთში დავბრუნდებით და სხვაგვარად ღმერთმა ნუ ქნას, იქ თუ რაიმეს თან წავიღებთ და თავს მოვიწონებთ, იქნება არა სავარძლები და „ჯიპები“, არამედ სოხუმის უნივერსიტეტი, ორი ქართული თეატრი და ეს ფერადოვანი ჟურნალები, რა თქმა უნდა, „რიწასთან“ ერთად.

ჟურნალებს კარგად აქვთ გაცნობიერებული ეს მისია.

თეატრ(ებ)ზე — რა მოგახსენოთ...

იოსებ ჭუმბურიძე

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ რუსეთთან „სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და საზღვაო სივრცის გამიჯვნის“ კომისიის შემადგენლობა დაამტკიცა.

ბჟანიას პრესსამსახურის ინფორმაციით, კომისიას დე ფაქტო ვიცე-პრემიერი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ბესლან ჯოპუა უხელმძღვანელებს, მისი მოადგილე კი ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი რომან დბარი იქნება.

კომისიის შემადგენლობაში არიან ასევე დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ინალ არძინბა, დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯანსუღ ნანბა, „დეპუტატები“ თემურ შერგელია და ალხას ბარციცი, სხვა დე ფაქტო უწყებების წარმომადგენლები.

● როგორც 2019 წელს სოხუმში რუსეთის იმჟამინდელმა დე ფაქტო ელჩმა ალექსეი დვინიანინმა განაცხადა, „რუსეთმა აფხაზეთს საზღვაო სივრცის გამიჯვნის შესახებ შეთანხმების გაფორმება იმის გამო შესთავაზა, რომ ჯერჯერობით ვერ ხერხდება შეთანხმების მიღწევა სახმელეთო საზღვართან დაკავშირებით“. მისივე განმარტებით, „დაურეგულირებელი რჩებოდა მხოლოდ ერთი სოფლის — აიგლას საკითხი“.

● 2020 წლის ნოემბერში რუსული მხარის მიერ ცალმხრივი გადაწყვეტილებით მდინარე ფსოუზე სოფელ აიგლას რუსულ ადლერის რაიონთან დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობამ სოხუმში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. რუსული მხარის ეს ნაბიჯი „აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად“ შეფასდა.

● საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აიგლას შემთხვევას „რუსული ანექსიის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს“ უწოდებს.

მობილური იუსტიციის სახლი ყველა სოფელში გამოჩნდება!

იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ პარლამენტში, მინისტრის საათის ფარგლებში ანგარიშის წარდგენისას განაცხადა, რომ მობილური იუსტიციის სახლი, 2023 წელს, საქართველოს ყველა რეგიონს დაფარავს.

„გასულ წელს დავიწყეთ სრულიად ახალი, უნიკალური პროექტი სახელწოდებით — მობილური იუსტიციის სახლი, რომელიც მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, რომელსაც დიდი მანძილის გავლა უწევს იუსტიციის სახლებამდე, მივაწოდოთ მომსახურებას ადგილზე, საკუთარ ჭიშკართან. პროექტი გასულ წელს, მაღალმთიან აჭარაში სოფელ ჭახათში დავიწყეთ, სადაც მომსახურება გავუწიეთ ადგილობრივ მოსახლეობას. მას შემდეგ უკვე ამოქმედდა 7 მობილური იუსტიციის სახლი, კიდევ 2 უკვე წელს დაემატება. ასევე, 11 მობილური იუსტიციის სახლის ავტომობილი შეძენილია და ამჟამად მიმდინარეობს მათი აღჭურვა. მომავალი წლიდან ქვეყნის ტერიტორიას სრულად დავფარავთ,“ — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ.

მობილური იუსტიციის სახლი 2021 წლის სექტემბრიდან საქართველოს 7 რეგიონის: კახეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელოს, შიდა ქართლის, იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების სოფლად მცხოვრებ 30 000-ზე მეტ ადგილობრივ მცხოვრებს მოემსახურა.

საუდელებს ჩიჩიაც უნდათ და ბაბაც!

ჩინეთის ლიდერი სი-ძინ-პინი საუდის არაბეთს ეწვია, სადაც ისეთი ზარზეიმით დახვდნენ, როგორც ნამდვილ სტრატეგიულ მოკავშირეს ეკადრებოდა. პრესაში ხმა გავარდა, ბაიდენის ვიზიტს აჯობაო. საუდის პრინცი ზაფხულში ბაიდენს საკმაოდ ცივად შეხვდა და ჩინთის ლიდერს, ხელგაშლილად. სი-ძი-პინის ვიზიტი ჩინეთში სამ დღეს გაგრძელდა და სამ ნაწილად გაიყო. ჩინეთის ლიდერი ჯერ საუდის არაბეთის ხელმძღვანელობას შეხვდა, შემდეგ, ორ, სპარსეთის ყურის ქვეყნებისა და არაბთა ლიგის სამიტს დაესწრო. ჩინეთისა და საუდის არაბეთის ლიდერებმა 34 ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი ენერგეტიკის, მაღალი ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურისა და სამხედრო ტექნოლოგიების დარგში.

ჩინეთი სპარსეთის ყურეში 50 მილიარდი დოლარის ინვესტიციების განხორციელებას აპირებს. ორი ქვეყნის მეთაურების ასეთი შეხმატკბილებული შეხვედრა დასავლეთში არავის არ გაკვირვებია, რადგან, სპარსეთის ყურის ქვეყნების ნავთობის მთავარი იმპორტიორი ჩინეთია, და მისი მოთხოვნილება სპარსეთის ყურის ნავთობზე დღითიდღე იზრდება. აი, ამერიკა კი, შეშფოთებით უყურებს რეგიონში ჩინეთის გააქტიურებას, რაც საუდის არაბეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობების საბოლოო გაფუჭების პოტენციას შეიცავს. ანალიტიკოსების აზრით, ურთიერთობის გაფუჭებაში, ლომის წილი ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას მიუძღვის.

ამერიკას, საუდის არაბეთთან, ჯერ კიდევ, ობამას პრეზიდენტობის დროს დაეძაბა ურთიერთობა. მისი დაჟინებული მცდელობის გამო, საგარეო პოლიტიკის მთავარი ვექტორი ახლო აღმოსავლეთიდან ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონზე გადაეტანა, რაც სპარსეთის ყურის ქვეყნებში ძალიან ცუდად მიიღეს.

ობამას პოლიტიკა ბაიდენმა განაგრძო, თან, დემოკრატები, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში, ყველგან ერევიან, რაც სპარსეთის ყურის შეიხებისთვის თვალისმომჭრელი წითელი ხაზია.

ჩინეთი პატივს სცემს ჩვენს ტრადიციებსო, აი, ასე თქვა საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, და მართლაც, რიადისთვის, პეკინთან მუშაობა უფრო ადვილია, რომელსაც სხვის შიდა საქმეებში ჩარევა არ აინტერესებს და, რაც მთავარია, ამერიკისგან განსხვავებით, არავითარ შეზღუდვებს არ აწესებს სამხედრო ტექნიკის შესყიდვის საქმეში, თუმცა, ანალიტიკოსები იმასაც ამბობენ, რომ სპარსეთის ყურის ქვეყნები ჯერ მზად არ არიან ამერიკის ჩინეთზე გასაცვლელად, რადგან ამერიკა ამ ქვეყნების უსაფრთხოების გარანტია, და მისი წყალობით დაცულნი არიან ირანის აგრესიისგან. თან, სპარსეთის ყურეში ნავიგაციის უსაფრთხოებას ამერიკა უზრუნველყოფს. ჩინეთი კი, ჯერ ამისთვის მზად არ არის.

ამერიკა, სავარაუდოდ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში რიადის მთავარ პარტნიორად დარჩება. როგორც ამ ვიზიტმა ცხადჰყო, საუდის არაბეთი ცდილობს, ამ ორ ქვეყანას შორის დივერსიფიცირება მოახდინოს, ანუ არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ ერთზე, რითაც, ორ დიდ ქვეყანას, ჩინეთსა და ამერიკას, აიძულებს ფრთხილად მოექცნენ რეგიონს.

არსებობს ზოგადი მიდრეკილება მრავალპოლუსიანი სამყაროს მიმართ და საუდის არაბეთი სწორედ ასეთი გეოპოლიტიკური კონსტრუქციის მომხრეა. საუდელები ამბობენ, რომ მათი ეკონომიკა სწრაფად იზრდება, და საერთაშორისო ურთიერთობის პოლარიზებული მოდელი ხელსაყრელად არ მიაჩნიათ. მათთვის ყველა პარტნიორია.

ბუნებრივია, რომ გამდიდრებასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ამ ქვეყნებს არ სურთ ორ დაპირისპირებულ ბანაკს, დასავლეთსა და რუსეთ-ჩინეთს, შორის გაჭყლეტა. ერთი სიტყვით, ჩიჩიაც უნდათ და ბაბაც. რაც შეეხება ამერიკას, თუ ამ რეგიონის შენარჩუნება სურს, მის მიმართ პოლიტიკის შეცვლაზეც უნდა იფიქროს, ალბათ.

ირანი ვერ ეგუება აზერბაიჯანის გააქტიურებას!

ურთიერთობა აზერბაიჯანსა და ირანს შორის ყოველთვის დაძაბული იყო, მაგრამ, ამ ბოლოდროს, დაპირისპირება კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა. ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საუკუნეების განმავლობაში აზერბაიჯანი სპარსეთის იმპერიის ნაწილი იყო. აზერები საკმაოდ კარგად ეწყობოდნენ ერთმორწმუნე სპარსელებს, მითუმეტეს, რომ ორივე შიიტური მიმდევრობის მუსლიმები არიან.

აზერბაიჯანი ირანს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთ-ირანის ომების შემდეგ გამოეყო, მაგრამ მისი ისტორიული მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი სპარსეთმა შთანთქა, რომელსაც სამხრეთ აზერბაიჯანს უწოდებენ. სხვათაშორის, იმ მიწებზე, დღეს, გაცილებით მეტი ეთნიკური აზერი ცხოვრებს, ვიდრე, თავად აზერბაიჯანში. ირანი ახლანდელ დამოუკიდებელ აზერბაიჯანს, როგორც წესი, თავის დაკარგულ ტერიტორიად განიხილავს. აზერბაიჯანის თურქეთთან დაახლოების ერთ-ერთი მიზანი სწორედ ირანის ამ გეოპოლიტიკური განწყობის განეიტრალებაა, რასაც ხელს თურქებისა და აზერების ეთნიკურ-კულტურული სიახლოვეც უწყობს, რომ არაფერი ვთქვათ მათ ლინგვისტურ იდენტურობაზე.

რაც შეეხება თურქეთსა და ირანს, მათი ანტაგონიზმი საყოველთაოდაა ცნობილი. ირანს და აზერბაიჯანს ერთმანეთის არც სახელმწიფო მმათველობის ფორმა მოსწონთ: აზერბაიჯანი თანამედროვე სეკულარული სახელმწიფოა, ირანი კი, ფუნდამენტალისტურ-ისლამისტური. ყველაფრის მიუხედავად, ორივე მხარე ცდილობდა ერთმანეთთან, როგორმე, ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდათ. 2020 წელს, მთიანი ყარაბაღის ომის შემდეგ, ეს ტენდენციაც შესუსტდა. ირანი ვერ ეგუება აზერბაიჯანის

მცდელობას, გაკვალოს ზანგეზურის დერეფანი, რომლის საშუალებით იხსნება სახმელეთო კავშირი ნახიჭევანსა და დანარჩენ აზერბაიჯანს შორის. აზერბაიჯანული გეგმის მიხედვით, გზამ სომხეთისა და ირანის საზღვრის გასწვრივ უნდა გაიაროს, რამაც, შეიძლება, წყალი შეუყენოს ირანისა და სომხეთის სავაჭრო ურთიერთობას.

ამ განზრახვის შესაჩერებლად და ძალის დემონსტრირების მიზნით, ირანმა აზერბაიჯანის საზღვართან სამხედრო წვრთნები წამოიწყო, რომლის დროსაც, ირანის სამხედრო ძალები მდინარე არასზე სამხედრო ტექნიკის გადასვლის საიმიტაციოდ ხიდებს იყენებდნენ. შეგახსენებთ, რომ ირანისა და აზერბაიჯანის საზღვრის მნიშვნელოვანი მონაკვეთი სწორედ ამ მდინარეზე გადის.

ამ სამხედრო ღონისძიებით, ირანის ხელმძღვანელობამ სიგნალი გაუგზავნა აზერბაიჯანს, რომ გულხელდაკრეფილი არ გაჩერდება.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი, ღიად განაცხადა, რომ ირანი არ დაუშვებს სომხეთთან მისი დამაკავშირებელი გზების დაბლოკვას. ამის საპასუხოდ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა, სამხედრო ავიაციისა და სპეცდანიშნულების შენაერთების მონაწილეობით, ირანის საზღვრის მახლობლად საპასუხო სამხედრო წვრთნები გამართეს.

ითქვა, რომ მომავალში, აზერბაიჯანის სამხედრო ძალების წვრთნასა და მოდერნიზაციას, თურქი გენერალი უხელმძღვანელებს. ამ ორმხრივ სამხედრო წვრთნებამდე, ირანსა და აზერბაიჯანს შორის, რამდენიმე დიპლომატური სკანდალიც აგორდა. ნოემბრის დასაწყისში, აზერბაიჯანის უსაფრთხოების სამსახურმა თავის ტერიტორიაზე სპარსული ჯაშუშური ქსელი გამოააშკარავა, რომელიც ქვეყანაში დესტაბილიზაციას ამზადებდა. სიმეტრიულად, ზუსტად ასეთი ქსელის არსებობა გახსნა ირანის დაზვერვამაც.

უფრო მეტიც, ორივე ქვეყნის პოლიტიკოსები საჯაროდ ემუქრებიან ერთმანეთს. აზერბაიჯანში გახშირდა საუბარი იმაზე, რომ ირანში ეთნიკური აზერები იჩაგრებიან. ირანს ისრაელისა და აზერბაიჯანის დაახლოებაც აწუხებს. სულ მალე, აზერბაიჯანი საელჩოს გახსნას აპირებს იერუსალიმში. ამგვარად, აზერბაიჯანი იქცა პირველ შიიტურ ქვეყნად, რომელიც პირდაპირ დიპლომატურ ურთიერთობას დაამყარებს ირანის მთავარ მოწინააღმდეგე ისრაელთან.

ირანი, ცხადია, ძალიან შეაშფოთა ამ ამბავმა. ყველაფრის გათვალისწინებით, დაძაბულობის არც შემდგომი ესკალაციაა გამორიცხული. მაგრამ დასავლელი ანალიტიკოსების აზრით, ეს ქიშპობა სერიოზულ კონფლიქტში არ გადაიზრდება, რადგან სამხედრო დაპირისპირება არც ერთ მხარეს არ აძლევს ხელს.

ქორწინების პატივისცემის აქტი... ამერიკულად!

დასავლეთის ელიტა იმდენადაა შეპყრობილი ლგბტ იდეოლოგიით, რომ განსხვავებულად მოაზროვნე ხალხს ვეღარ ეგუება, მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ადამიანის უფლებების აღიარებული დამცველია. უფრო მეტიც, თუ არ იზიარებ მის აზრს და განწყობას ლგბტ საზოგადოების მიმართ, ხარ კაცთმოძულე და დამნაშავე. ყველაფერი ამოყირავდა: რაც გუშინ ცუდი იყო, დღეს კარგია და, პირიქით, რაც წარსულში მართებული გვეგონა, ახლა სრულიად მიუღებელია. ჰო, დროა ასეთი!

ტყულ-მართლის განსჯა, ფილოსოფოსოფოსთა კომპეტენციიდან გამოვიდა და მთელი საზოგადოების მსჯელობისა და ვერდიქტის საგნად იქცა. ზუსტად ეს მოხდა ამერიკაში: მრავალწლიანი საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად, მიიღეს კანონი, რომელიც, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების აღიარებას ემსახურება. ცალკეულ შტატებში, პრეცედენტებს უკვე ჰქონდა ადგილი. ამერიკის წარმომადგენელთა პალატაში, ინიციატივას 258-მა კონგრესმენმა დაუჭირა მხარი, 169 წინააღმდეგ წავიდა. ზემოხსენებული კანონი სენატმაც დაამტკიცა და პრეზიდენტმაც მოაწერა ხელი.

აღსანიშნავია ის, რომ კანონს რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთი წევრიც მიემხრო. დემოკრატები ჩქარობდნენ კანონის მიღებას. მათ კონსერვატულად ორიენტირებული უზენაესი სასამართლოს სავარაუდო გადაწყვეტილების შიში ჰქონდათ, რომელსაც საპირისპირო სულისკვეთების კანონის გამოშვება შეეძლო. სწორედ ამ შესაძლებლობას აღუდგნენ წინ დემოკრატები ამ უკვე ხელმოწერილი კანონის მიღებით. ახალი კანონი ბევრმა დაგმო და გააპროტესტა.

ამერიკელი კონსერვატორების ერთი ნაწილი მოითხოვს, ვინც კონსერვატორებიდან ამ კანონს მხარი დაუჭირა, პარტიიდან გავაძევოთო. ამერიკის რელიგიურმა მოღვაწეებმაც გააკრიტიკეს ამ კანონის სახელწოდება Respect-for-Marriage ანუ ქორწინების პატივისცემის აქტი. მათი აზრით, ამ სათაურში ფარისევლობა გამოსჭვივის, რადგან, ელემენტარულად, ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის, და არა ერთი სქესის ადამიანთა კავშირი, და ეს სათაური, პირიქით, ქორწინებას შეურაცხყოფსო.

კანონი, იურიდიული თვალსაზრისითაც გააკრიტიკეს, რადგან ის ფედერალიზმის პრინციპს უგულებელყოფს: ამერიკაში ქორწინების საკითხს ყოველთვის არა ფედერალური, არამედ, ცალკეული შტატის მთავრობა არეგულირებდა.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

სამხრეთ კავკასიაში დაძაბულობა უნდა დასრულდეს!

რომის პაპი ფრანცისკე სამხრეთ კავკასიაში დაძაბულობის დასრულების მოწოდებით გამოვიდა. კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელმა თქვა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბულობის ესკალაცია უნდა შეწყდეს. გარემოს დამცველმა აქტივისტებმა ლაჩინის დერეფანი გადაკეტეს, რომელიც არის ერთადერთი სახმელეთო მარშრუტი ხალხის გადასაადგილებლად და საქონლის, საკვებისა და სამედიცინო მომარაგებისთვის სომხეთიდან მთიან ყარაბაღამდე აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით.

პარალელურად, წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ მოქალაქეებს პონტიფიკოსმა უკრაინის მშვიდობისთვის ლოცვა სთხოვა.

„შეშფოთებული ვარ სამხრეთ კავკასიაში ლაჩინის დერეფანში შექმნილი ვითარებით. კერძოდ, შეშფოთებული ვარ მოსახლეობის არასტაბილური ჰუმანიტარული პირობებით, რომელიც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაუარესდება ზამთრის სეზონზე. მოვუწოდებ ყველა ჩართულ მხარეს, იპოვონ მშვიდობიანი გადაწყვეტილებები ხალხის სასიკეთოდ. ჩვენ ვთხოვთ ღმერთს, შეეხოს მათ გულებს, ვისაც შეუძლია, შეაჩეროს ომი უკრაინაში. არ დავივიწყოთ იმ ხალხის ტანჯვა, განსაკუთრებით ბავშვების, მოხუცების და ავადმყოფების ტანჯვა“, — თქვა რომის პაპმა.

გაერთიანდით NATO-ს წინააღმდეგ!

ასე მიმართავს ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი მოსახლეობას. მისი მიმართვა ჩინურ ენაზე მისსავე Telegram-არხზე გავრცელდა.

„ბოლო 100 წლის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ მოაწყვეს ათობით ომი, სამხედრო გადატრიალება და შემოსევა. მილიონობით მშვიდობიანი მოქალაქე გახდა მათი მსხვერპლი. თუმცა ახლა ისინი კიდევ უფრო საშინელ საფრთხეს წარმოადგენენ, ანადგურებენ ყველა მორალურ ფასეულობებს, რომელიც ჩამოყალიბდა ყველა ქვეყნის ხალხის მიერ კაცობრიობის არსებობის მანძილზე“, — დაწერა კადიროვმა.

პუტინს კადიროვის ეშინია...

პუტინს ეშინია კადიროვის. მას შემდეგ, რაც რუსეთის დიქტატორი ვლადიმერ პუტინი წავა, იჩქერია გახდება თავისუფალი ქვეყანა, — ამის შესახებ უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ოლექსი დანილოვმა განაცხადა. მისი თქმით, პუტინი კადიროვს აძლევს ფულს, ამის სანაცვლოდ იჩქერია რჩება რუსეთის შემადგენლობაში.

„როგორც კი პუტინი წავა, იჩქერია გახდება თავისუფალი ქვეყანა. კადიროვთან თუ კადიროვის გარეშე, დამიჯერეთ, ეს აუცილებლად მოხდება და ძალიან, ძალიან სწრაფად. იმიტომ, რომ ეს არის ცალკე ქვეყანა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რუსეთის ფედერაციასთან“, — აცხადებს ოლექსი დანილოვი. როგორც მან დასძინა, ყველამ იცის, რომ კადიროვის მამის მოკვლის ბრძანება სწორედ პუტინმა გასცა.

პაატა ნაცვლიშვილი

პერფექციონისტის შთანახატები

ხულიან ალვარესისა

ის იყო, არგენტინამ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ხორვატია დაამარცხა მესისა და ალვარესის გოლებით, რომ ფეისბუქზე ასეთ ამბავი წავიკითხე:

„პატარა ხულიანმა დედას პირობა მისცა, რომ საუზმის ფულით მესის პლაკატებს აღარ იყიდდა. მაგრამ როგორ გინდა, უარი თქვა ასეთ საგანძურზე? ოთახის ჭერზეც კი მესის პლაკატები ჰქონდა გაკრული. 2011 წელს არგენტინის ნაკრები ალვარესებისგან ასეოდე კილომეტრში აღმოჩნდა და მამამ, თავისი სამსახურის საზიანოდ, ბიჭი მათ სასტუმროში წაიყვანა. გაუმართლათ: მესი სასადილოში მთავარი ლობის გავლით წავიდა. ასე გაჩნდა მთავარი ფოტო ხულიან ალვარესის ცხოვრებაში. მან ჯერ არ იცოდა, რომ 11 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გოლს გაიტანდა და საგოლე პასს მას სწორედ მესი მიაწვდიდა“.

ვაჰ, წარმოიდგინეთ ახლა ამისი ბედნიერება!

მე ვიყო ხულიან ალვარესი!

თურმე როგორ შეიძლება რამდენიმე სტრიქონში ერთი ვედრო ინფორმაციის და ერთი ცისტერნა ემოციის ჩატევა!

ძნელი დასათვლელია, რამდენი რამ უნდა დაემთხვეს ერთმანეთს, რომ ეს პატარა ბიჭი მაგგგარი ფეხბურთელი დადგეს, მერე არგენტინის ნაკრებში მოხვდეს (აზრზე ხართ?!), თანაც მაშინ, როცა ნაკრებში ჯერ კიდევ თამაშობს მესი და მერე ამათ ერთად ითამაშონ მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ხორვატიასთან და მესიმ ფანტასტიკური დრიბლინგის შემდეგ კარის წინ ამოაწოდოს ბურთი და აქ მას მაინცდამაინც ალვარესი დახვდეს ფეხმომარჯვებული. აი, სად ჩანს კიდევ ერთხელ ის ღმერთის ხელი!

და თუ ესენი ერთად მსოფლიოს ჩემპიონები გახდებიან, იქ გამოჩნდება ღმერთის მეორე ხელიც!

ეს შთანახატი ფინალის წინა დღეს გავაკეთე. ისტორიული ფინალის შემდეგ კი, რომელიც უფრო ღმერთის მიერ დადგმულ ტრილერს ჰგავდა, ესღა მივაწერე:

როგორია, ბავშვობაში რომ მესის პოსტერებს აგროვებ და 11 წლის შემდეგ მესისთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატს მოიგებ! ამან უნდა თქვას, — ბედი მომე და სტადიონზე გამიშვიო! გილოცავ, ხულიან! მიდი, ახლა ჩაიფიქრე კიდევ რამე ახალი, თუნდაც სრულიად წარმოუდგენელი. ხომ იცი, რომ მაინც მიაღწევ!

კითხვა-პასუხისა

წიგნის კითხვა და ტელევიზორის ყურება კითხვებს უნდა ბადებდეს. პასუხები არ არის მთავარი. მთავარი კითხვებია. ადამიანის გარდა არცერთი სულიერი კითხვას არ სვამს. როცა კითხვა ჩნდება, პასუხიც მოიძებნება. თუ არ მოიძებნება, პასუხის ძებნაში უამრავი სხვა რამ შემოგესწავლება. ამ ჩემმა პინგვინებმა კი, მათდა საუბედუროდ, არც კითხვა იციან და არც ეყურება.

ში თანდებულისა

მიშა ანთაძეს ათეულობით წიგნი აქვს დაწერილი თუ ნათარგმნი. ნათარგმნზე არაფერს ვიტყვი, თავისი წიგნების სათაურებში კი მიშა „ში“ თანდებულს ისე აჯეჯილებს, თითქოს მისი ორივე ასო საკუთარი სახელიდან ჰქონდეს ამოღებული!

აბა, ვნახოთ:

„ფარანი ბნელ**ში**“, „გვირილა ქარ**ში**“,„მთვარე ფინჯან**ში**“, „სიცილია გვალვა**ში**“...

და კიდევ ერთი — საკონტროლო გასროლასავით:

„ჩემს სიკვდილ**ში** ბრალი დასდეთ კომბლეს“...

მოკლედ, თუ ვინმეს წიგნის სათაურში „ში“ თანდებული დასჭირდა და ვეღარ იშოვა, მიშა ანთაძეს დააბრალოს — ქართული წიგნის სათაურებში „ში“ თანდებულის მარაგი მან ამოწურა.

აიპოკალიფსისა და სხვათა

ჩემს კი არა, ჩემი შვილის მახსოვრობაშიც კი ოთხჯერ კატეგორიულად შეიცვალა მსოფლიო:

საბჭოთა კავშირის კოლაფსი თავისი ასეთი თუ ისეთი შედეგებით.

ტექნოლოგიურ-ინფორმატიკული რევოლუცია თავისი ინტერნეტითა და მობილური ტელეფონებით, რომელსაც აიპოკალიფსისი შეიძლება ვუწოდოთ.

პანდემია.

რუსეთ-უკრაინის ომი თავისი ბირთვული საფრთხით.

რომელიმე ამერიკელი პირველი პუნქტის ნაცვლად ან მასთან ერთად ალბათ 9/11-ს ჩაწერდა.

ხოლო ისინი, ვინც მეორე თუ მესამე ოჯახი შექმნა ან ემიგრაციაში აღმოჩნდა, რამდენიმე პერსონალურ პუნქტსაც დაამატებდნენ.

ხალთაში ვერდამალული შუბისა

შუბი ხალათში ვერ დაიმალებაო, ერთ მწერალთან შემხვდა ამას წინათ.

სკოლა ისე დავამთავრე, მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ შუბი ხალათში ვერ დაიმალებოდა. როგორც ჩანს, მაშინ მხოლოდ ყურით მქონდა მოსმენილი ეს მშვენიერი ანდაზა და დაწერილი თუ დაბეჭდილი არსად მენახა.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს გავიხედე და, გაზეთში არშინიანი სათაურია:

„შუბი ხალთაში არ დაიმალება!“ არ მახსოვს, რისი სათაური იყო, რამე კრიტიკული წერილი იქნებოდა, მაგრამ მე სათაურის შეცდომა დამამახსოვრდა. ამხელა ასოებით ამხელა შეცდომა! რედაქციაში დარეკვას ვაპირებდი, თანაგრძნობით თუ ნიშნისმოგებით, — ეს რა მოგსვლიათ-მეთქი, მაგრამ არ ავჩქარდი. ბედად, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ყველა ტომი ახალი ნაყიდი მქონდა ტიმოთე მახაურთან და შინ მისვლისთანავე ჩავიხედე — იქნებ ხალათს ხალთაც ჰქვია-მეთქი. კიდევ კარგი, ჩავიხედე! ხალთა ტყავის ტომარა ყოფილა, გუდა. და პირველივე მაგალითად განმარტებითში სწორედ ეს ანდაზაა მოხმობილი — შუბი ხალთაში არ დაიმალებაო. მართლაც, ტყავის ტომარაში, გინა გუდაში შუბი როგორ უნდა დაიმალოს?! ისე, არც ხალათში დაიმალება, წესით.

არადა, არც ეს ვარიანტია ურიგო:

შუბი ხალათში არ დაიმალებაო!

◎ ყატარი – 2022

დიდების მწვერვალზე

ნეტავ არ დასრულებულიყო – გავიგონე ერთი ძველი მაგის გულისტკივილი ყატარული მუნდიალის შემდეგ.

დიახ, მართალია ერთთვიანმა მარათონმა დიდი გამძლეობა მოითხოვა, თუ გულწრფელნი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ის საამისოდ ღირდა – დაწყებული ამ ქვეყნისათვის მასშტაბური ფორუმის მასპინძლობის სკანდალურად მინიჭებით, გაგრძელებული თვით ტურნირის დღეებში გამოვლენილი ლობირების ფაქტით, ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტისა და მაღალჩინოსანთა თაღლითობა რომ დაადასტურა – და დამთავრებული ზღაპრული ფინალით. აღარაფერს ვაბობთ უფლებადამცველთა გაუთავებელ კაკაფონიაზე – სტადიონების მშენებლობის პროცესს ათასობით მუშის სიცოცხლე შეეწირაო.

ვინაიდან ეს ყველაფერი წარსულში დარჩა, მოდით, საფეხბურთო ზეიმის კულმინაციაზე ვისაუბროთ, მით უმეტეს, რომ ასეთი დასკვნითი აკორდი ნებისმიერ მოვლენას დაამშვენებდა.

არგენტინა - საფრანგეთი - 3:3
(დამატებით დროში, ძირითადი დრო – 2:2).
პენალტებით – 4:3
გოლები: მესი (2), დი მარია; მბაპე (3).

დაუვიწყარი სპექტაკლის დაახლოებით 70 წუთის შემდეგ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ არგენტინელთა აშკარა უპირატესობის ფონზე მათ ტრიუმფს საფრთხე დაემუქრებოდა, მაგრამ ბრძოლის ველიდან დი მარიას გაყვანამ სამფეროვნებს ხელ-ფეხი გაუხსნა და, უკვე მერამდენედ აღნიშნულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ლიონელ სკალონის გუნდმა ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა.

ამას დაემატა თამაშში კომანისა და კოლო მუანის აქტიური ჩართვა, ხოლო მბაპემ ორ წუთში დუბლი შეასრულა და... 2:2.

კიდევ უფრო დრამატული ნახევარი საათი იხილა ლუზაილი სთედიუმზე შეკრებილმა მაყურებელმა დამატებით დროში. მას შემდეგ, რაც მესიმ კიდევ ერთხელ დააწინაურა პარტნიორები, მსოფლიოს ჯერაც მოქმედი ჩემპიონები განწირულნი ჩანდნენ, მაგრამ მონტიელის შეცდომამ, რომელსაც ბურთი საჯარიმოში ხელზე მოხვდა, დიდიე დეშამის შეგირდები კიდევ ერთხელ იხსნა – 3:3. მეტიც, რომ არა მეკარე მარტინესის გმირობა ბოლო წამებზე, ევროპელები ტიტულს შეინარჩუნებდნენ.

რაც შეეხება პენალტების სერიას, აქ უკვე სამართალმა პური ჭამა – არგენტინა მესამედ გახდა გვირგვინოსანი!

ეს, ასე ვთქვათ, საოქმო ენა, თვით საბოლოო შედეგმა კი კიდევ ერთხელ დაადასტურა ვარსკვლავთა მნიშვნელობა ნებისმიერი დონის წარმატებაში.

მართლაც, არგენტინელები ბედნიერნი არიან, რომ მათი მიღწევები კემპესმა, მარადონამ და უკვე მესიმ გამოჭედეს. ის კი არა, ალბათ მალე ამ უკანასკნელს თავის საამაყო წინამორბედ თანამემამულესაც შეადარებენ. რატომაც არა? მას ხომ უამრავი რეკორდი გამოარჩევს.

ფინალის შემდეგ

მსოფლიოს ჩემპიონატის დრამატული ფინალის შემდეგ **ლიონელ სკალონიმ** ლეო მესის შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ მას იქამდე შეუძლია გუნდში დარჩეს, სადამდეც მოესურვება.

„თუ ლეოს თამაშის გაგრძელება სურს, ჩვენი კარი მისთვის მუდამ ღია იქნება. ჩვენ მას ადგილს აუცილებლად შევუნახავთ. მას სრულებით აქვს იმის უფლება, რომ გადაწყვიტოს წავიდეს ნაკრებიდან, თუ დარჩეს. ის ჩვენი გუნდისთვის უდიდესი ძალაა და დიდი სიამოვნებაა ისეთი ფეხბურთელების გაწვრთნა, როგორიც ის და მისი თანაგუნდელები არიან. ყველაფერი, რასაც მესი თავის თანაგუნდელებს გადასცემს, უბრალოდ შეუდარებელია. მსგავსი რამ აქამდე არასოდეს მინახავს“, – განაცხადა სკალონიმ მატჩის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ ლეო მესიმ მატჩის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას მსოფლიოს ჩემპიონის რანგში რამდენიმე თამაშის ჩატარება ჯერ კიდევ სურს.

* * *

ფეხბურთის მეფემ **პელემ** არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა და არგენტინას გამარჯვება მიულოცა.

„დღეს ფეხბურთი აგრძელებს თავისი ისტორიის მოყოლას, როგორც ყოველთვის ყველაზე მიმზიდველად. მესიმ თავისი პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, რაც კარიერის გამო დაიმსახურა. ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა მბაპემ ფინალებში უკვე 4 გოლი გაიტანა. რა დიდებული საჩუქარი იყო ამ სპექტაკლის ყურება ჩვენი სპორტის მომავლისთვის. არ შემიძლია მაროკოს ნაკრებს არ მივულოცო წარმოუდგენელი კამპანია. მშვენიერია აფრიკის ბრწყინვალების ნახვა. ვულოცავ არგენტინას! რა თქმა უნდა, დიეგო ახლა იღიმის“, – დაწერა პელემ.

შეგახსენებთ, რომ არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი 1986 წლის შემდეგ პირველად, ისტორიაში კი მესამედ გახდა.

* * *

არგენტინელთა ლიდერმა ლიონელ მესიმ მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ აღნიშნა, რომ ნაკრებში თამაშს ჯერჯერობით გააგრძელებს, რადგან უნდა, რომ რამდენიმე თამაში მსოფლიოს ჩემპიონის სტატუსით ჩაატაროს.

„სიგიჟეა. ეს თასი ყველაზე ლამაზია, რაც არსებობს. ბრწყინვალეა, ძალიან მინდოდა. ბევრი ვიტანჯეთ, მაგრამ ტიტული მოვიპოვეთ. ის მაქვს, რაც მაკლდა. მქონდა განცდა, რომ ეს მოხდებოდა. ერთი სული მაქვს არგენტინაში ჩავიდე და ის სიგიჟეები ვნახო, რაც იქ იქნება. რა თქმა უნდა, მინდოდა კარიერა ამ ტიტულით დამესრულებინა, მეტს ვერაფერს ვითხოვ. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი მომცა.

პრაქტიკულად ჩემი კარიერა ასე შთამბეჭდავად დავასრულე. ამის შემდეგ რა იქნება? კოპა ამერიკის და მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება შევძელი. ნაკრებიდან წასვლა? მიყვარს ფეხბურთი და ის, რასაც ვაკეთებ. მომწონს გუნდში ყოფნა, მინდა, რამდენიმე მატჩი, როგორც მსოფლიოს ჩემპიონმა ვითამაშო“, – თქვა მესიმ.

შეგახსენებთ, რომ ლიონელ მესი მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად მეორედ დაასახელეს, არგენტინა კი მსოფლიოს ჩემპიონი მესამედ გახდა. იგი ნაკრების რეკორდსმენია 98 გოლით.

◎ ლეგიონერი

შენგელიას 13 ქულა

იტალიის სერია A-ს მე-11 ტურში „ვირტუს ბოლონია“ სტუმრად „ბრეშას“ დაუპირისპირდა და 89:77 იმარჯვა. ბოლონიელებმა პირველივე ტაიმში სოლიდური, 17-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, რაც ხელიდან აღარ გაუშვიათ.

თორნიკე შენგელიამ 25 წუთი ითამაშა და საკუთარ გუნდს 13 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი შესძინა. ქართველმა კალათბურთელმა 6-დან 5 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი კი არ უსვრია.

„ვირტუს ბოლონია“ 10 მოგებით და 1 წაგებით სატურნირო ცხრილის ლიდერია, მომდევნო ტურში კი 26 დეკემბერს „პეზაროს“ სტუმრად დაუპირისპირდება.

◎ შეწყალება

ბორის ბეკერი თავისუფალია

ჩოგბურთის გერმანელი ვარსკვლავი, 55 წლის ბორის ბეკერი ინგლისური ციხიდან გაათავისუფლეს. ეს ნიშნავს, რომ მას უახლოეს მომავალში ბრიტანეთიდან დეპორტაცია ელის.

დიდი სლემის ექვსი ტიტულის მფლობელ ბეკერს ლონდონის სასამართლომ აპრილში ორი წლით და ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯა. ამის მიზეზი ის ფაქტი გახდა, რომ გაკოტრების გამოცხადების შემდეგ ასობით ათასი სტერლინგის აქტივები გადამალა.

იქაური კანონის შესაბამისად, ყველა უცხოელი, ვინც კრიმინალში იქნება მხილებული და ციხეში ჩასვამენ, სასჯელის მოხდის შემდეგ ქვეყნიდან დეპორტაციას ექვემდებარება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დარღვევების გამო ბეკერს გერმანიის სასამართლომ 2002 წელს პირობითი პატიმრობა მიუსაჯა.

ბეკერმა დიდი სლემის პირველი ტიტული 1985 წელს ლონდონში მოიპოვა – უიმბლდონზე 17 წლისამ გაიმარჯვა. ის ამ ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა და თან ისე, რომ განთეული არ ყოფილა. შემდგომში მან უიმბლდონი კიდევ ორჯერ მოიგო.

ბეკერი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და ამბობს, რომ გაკოტრების პროცედურისას აღმასრულებლებს თავისი საქორწინო ბეჭედიც კი შესთავაზა. ის დასძენს, რომ საკუთარ მრჩევლებს ზედმეტად ენდობოდა.

◎ გვეხმაურებიან

რა გვჭირს მისაბაძი...

25 ნოემბერს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას მიმართვაზე სათაურით — „კულტურა არ ყვირის, არ იგინება, მაგრამ მას უდიდესი ძალა აქვს“, კიდევ ერთ გამოხმაურებას გთავაზობთ.

დარწმუნებული ვარ, ვახტანგ დავითაიას წუხილის განცდით გამოქვეყნებულმა მიმართვამ საზოგადოება სერიოზულად დააფიქრა, რაც არქიტექტორ თამაზ დოგრაშვილის და ბორის დავითაიას გამოხმაურებაშიც აისახა.

არ ვარ ამ სფეროს სპეციალისტი, მაგრამ მაქვს სურვილი გამოვთქვა ჩემი მიუკერძოებელი მოსაზრება.

დავიწყებ მახათას მთაზე არლინგტონის მიბაძვით „გამშვენებული“ ახალი პანთეონის თემით. მოკლედ რომ ვთქვა, მგონია, რომ ეს ყველაფერი ცუდად ნააზრევს, გამოგონილ პრობლემას ჰგავს. ამერიკელი ჯარისკაცების ხსენებული სასაფლაო პირადად მაქვს ნანახი და ჩემშიც ლანდშაფტური არქიტექტურის სასიამოვნო განცდა გამოიწვია. რაც მთავარია, გათანაბრებულად დაკრძალულთ, სიმბოლურად, მარადისობაშიც ზეციური მხედრობა აერთიანებთ.

მახათას გაარლინგტონების პრინციპი გასაგებია, მაგრამ ხომ შეიძლება, ოჯახის სურვილით დამატებითი ხარჯის გაღების უფლებით დაკორექტირდეს ბიუჯეტის თანხის კვოტა, თუნდაც ინდივიდიალური პროექტის განსახორციელებლად. პანთეონი მთლიანობაში და იქ ცალკეული სავანე თუ არ იქცევს ყურადღებას განსხვავებულობით, როგორც ღირებულება, არ უნდა დაისვას ტოლობის ნიშანი არანაირ სხვა სამუდამო სამკვიდრებელთან.

მეუღლის გვერდით მისი მერე ნახევრის დაკრძალვასთან დაკავშირებით ვიტყვი: თუ ჯერ კიდევ მიგვაჩნია, რომ ტრადიციის ერთგული ერი ვართ, თანამეცხედრეების დაშორიშორების გაფიქრებაც კი მიუტევებელია. არაერთი შემთხვევაც ხომ ყოფილა, როცა ამ მოტივით, ანდერძად დაუბარებიათ უარი ცალკე დაკრძალვაზე.

რაც შეეხება მეორე პრობლემას. მართლა გასაკვირია, წლები გადის, არც საქმით და არც სიტყვით, პასუხს არავინ იძლევა დავით აღმაშენებლის ძეგლის თავდაპირველ სივრცეში დაბრუნებასთან დაკავშირებით. საკითხავია, რა ამუნჯებს და აბრკოლებს საზოგადოებრივ აზრზე კომპეტენტურ რეაგირებას?..

თენგიზ გაჩეჩილაძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „არიერგარდის“ თანათავმჯდომარე

ტექინსპექტირების გაუვლელობისთვის განმეორებითი ჯარიმა დაწესდება

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილება, რომლითაც იცვლება დაწესებული პასუხისმგებლობა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის ან სხვისთვის გადაცემისთვის, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება.

პროექტის თანახმად, ტექნიკური ინსპექტირების გავლის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ან ისეთი სატრანსპორტო საშუალების სხვა პირისთვის სამართავად ან საექსპლუატაციოდ გადაცემისთვის, რომელსაც არ გაუვლია ტექნიკური ინსპექტირება, **ერთხელ დაჯარიმებული პირი შესაბამისი სახდელის დადებიდან 30 დღის განმავლობაში თუ განმეორებით ჩაიდენს ამავე ქმედებას დაჯარიმდება: ფიზიკური პირი — 150 ლარით, იურიდიული პირი ან/და ინდივიდუალური მეწარმე — 300 ლარით.**

იმავე პრინციპის შესაბამისად, აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორება გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის — 500 ლარით.

ამის შემდეგ, ტექნიკური ინსპექტირების არგავლის გამო სახდელის დადებიდან 30 დღის შემდეგ სამართალდარღვევის ყოველი მომდევნო ჩადენა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარით, იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის — 700 ლარით.

მომხსენებლის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის, მაია ბითაძის განცხადებით, ვინაიდან აღნიშნული სამართალდარღვევის გამოვლენა, ძირითადად, ხდება ვიდეოკამერების მეშვეობით, დაფიქსირებული ჯარიმის ჩაბარებას გარკვეული დრო სჭირდება, სახდელის დადების ვადად, ნაცვლად ორი თვისა, შემოთავაზებულია ექვსი თვე, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას გაუადვილებს.

ორი პლანეტა, რომლებიც ძირითადად წყლით არის დაფარული

(მეხუთე გვერდიდან) ტრანზიტული მონაცემები აჩვენებს, რომ კეპლერ-138c-ს და კეპლერ-138d-ს დედამიწაზე 1,5-ჯერ დიდი რადიუსი აქვთ; დედავარსკვლავ კეპლერ-138-ზე მათი გრავიტაციული ზემოქმედება კი მიუთითებს, რომ აქვთ დედამიწაზე 2,3-ჯერ და 2,1-ჯერ მეტი მასა. თავის მხრივ, ეს მონაცემები გვეუბნება, რომ ორივეს სიმკვრივე 3,6 გრამია კუბურ სანტიმეტრზე – ანუ სადღაც კლდოვან და გაზოვან შემადგენლობას შორის.

ეს მაჩვენებელი საკმაოდ ახლოს არის იუპიტერის მთვარე ევროპას მაჩვენებელთან, რომლის სიმკვრივეც 3 გრამია კუბურ სანტიმეტრზე. მას გარს აკრავს ყინულის ქერქი, რომლის ქვეშაც დიდი, გლობალური ოკეანეა.

დედამიწის საშუალო სიმკვრივე კუბურ სანტიმეტრზე 5,5 გრამია და ყველაზე მკვრივი პლანეტაა მთელ მზის სისტემაში; ყველაზე ნაკლებად მკვრივი კი არის სატურნი, რომლის მაჩვენებელიც 0,69 გრამია კუბურ სანტიმეტრზე.

თუმცა, კეპლერ-138c და კეპლერ-138d თავიანთ დედავარსკვლავის გარშემო გაცილებით ახლო მანძილიდან მოძრაობენ, ვიდრე დედამიწა. მიუხედავად იმისა, რომ ის პატარა, ცივი წითელი ჯუჯაა, ასეთი სიახლოვის გამო, ეს პლანეტები დედამიწაზე გაცილებით ცხელი უნდა იყოს. ერთ გარშემოვლას ისინი 13 და 23 დღეს ანდომებენ, შესაბამისად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი ოკეანეები და ატმოსფეროები სულ არ უნდა ჰგავდეს ჩვენსას.

სანთელი

დედა ეკა გურაშვილი, მამა გია ვაშაკიძე, დები ნანიკო, ლიზი, ქრისტინე, ძმა მალხაზი, ბებიები ამალია, ნინო, ნანი, ლოიდა, ნაირა, ბაბუა გელა მესხი, მამიდები ინგა, დალილა, მანჩო, მაია, ბიძები მამუკა ვაშაკიძე, მალხაზ ედიშერაშვილი, ზურა აბრამიშვილი, გია კასრაძე, მამიდაშვილები ავთანდილ და ბექარ ვაშაკიძეები, შაკო და გია ედიშერაშვილები, მარი და გიორგი აბრამიშვილები, ლანა კასრაძე ოჯახებით იუწყებიან

ვაჩე ვაშაკიძის

მოულოდნელ გარდაცვალებას.

პანაშვიდი 20, 21 XII, მისამართი: ბოგვის ქ. №31 (სანზონა).

გამოსვენება 22.XII, 14 საათზე. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიიდან. ნაძალადევი. ცოტნე დადიანის ქუჩა (სამშობიაროსთან).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები დიდი გულისტკივილით იუწყებიან

ვაჩე ვაშაკიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ უდიდეს მწუხარებაში მყოფ ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.

ბანკზე თავდამსხმელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქართველოს პროკურატურის სააპელაციო საჩივარი, გააუქმა თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენი და ყვარელში „საქართველოს ბანკის“ სერვისცენტრში ტერორისტული აქტის, ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 9 სექტემბერს, ბრალდებულმა, ყვარელში მდებარე „საქართველოს ბანკის“ სერვისცენტრში ტერორისტული აქტი განახორციელა და საქართველოს ხელისუფლებისგან თანხის მოთხოვნის მიზნით, ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენების მუქარით, 6 მოქალაქე მძევლად აიყვანა. ბრალდებულმა შენობაში მყოფი მოქალაქეები და ბანკის თანამშრომლები აიძულა დამორჩილებოდნენ მის მოთხოვნებს და საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ხელყუმბარის დემონსტრირებით ბანკის შენობაში მყოფ მოქალაქეს მოსთხოვა დაერეკა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში და ხელისუფლების ორგანოებისთვის მომხდარის შესახებ შეტყობინება გადაეცა.

თავდამსხმელი ცდილობდა საზოგადოებაში მასობრივი პანიკის და შიშის დანერგვით ხელისუფლების ორგანოები იძულებული გაეხადა შეესრულებინა მის მიერ დაყენებული მოთხოვნები. ბრალდებულმა მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ 500.000 ლარი და 500.000 აშშ დოლარის მისთვის გადაცემა და შენობის უსაფრთხოდ დატოვების საშუალების მიცემა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ხელყუმბარის აფეთქებით და მძევლების სიცოცხლის მოსპობით დაიმუქრა.

თავდამსხმელს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის პირველი ნაწილით (ტერორისტული აქტი), სსკ-ის 329-ე მუხლის პირველი ნაწილით (მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით) და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ასაფეთქებელი მოწყობილობისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად **10-იდან 15 წლამდე** თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების მიუხედავად, თელავის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული ტერორისტული აქტის, ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე გაამართლა და დამნაშავედ ცნო მძევლად ხელში ჩაგდების, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტებზე, რისთვისაც 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

პროკურატურა აღნიშნულ განაჩენს არ დაეთანხმა და სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა და მსჯავრდებულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ლიტერატურული პრემია „ანა“-ს დაჯილდოება პირველად გაიმართა

ლიტერატურული კონკურსი „ანა“ კულტურის მინისტრმა 2022 წლის ივლისში დააარსა და მისი ძირითადი მიზანი ქალი ავტორების ხელშეწყობა, წარმოჩენა და წახალისება გახლავთ.

დაჯილდოების პირველი ცერემონიალი ვასო აბაშიძის სახელობის ახალ თეატრში გაიმართა. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქეთევან დუმბაძე, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლები.

2022 წლის საკონკურსო კომისიის წევრები იყვნენ ლაშა თაბუკაშვილი, სოსო ჭუმბურიძე, ანდრო ბუაჩიძე, თემურ ჩალაბაშვილი და გია მურღულია. მათ გამოავლინეს გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში:

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ლიტერატურული პრემია „ანა“ გადაეცათ:

- **მარიამ ძიძიგურს** (წიკლაური) ნომინაციაში „ქალი პოეტი“, კრებულისთვის „რისკჯგუფი“;
- **ნორა სიხარულიძეს** ნომინაციაში „ქალი პროზაიკოსი“, წიგნისთვის „სარკმელი“;
- **თამარ ლომიძეს** ნომინაციაში „ქალი მთარგმნელი“, აირის მერდოკის რომანისთვის „ზღვა, ზღვა“ (გამომცემლობა „დიოგენე“).

საკონკურსო კომისიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა ნომინაციისთვის „ქალის თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი“.

თითოეულ ნომინაციაში პრემიის ოდენობა შეადგენს 5000 ლარს (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).

ლიტერატურული პრემია „ანას“ მიზანია ქალი ავტორებისა და მთარგმნელების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა-წახალისება, მათი შემოქმედების პოპულარიზაცია და ახალი სახელების წარმოჩენა.

კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ გამომცემლებს (საგამომცემლო სახლებს) და საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს. საკონკურსოდ განიხილებოდა კონკურსის გამოცხადების წინა წელს წიგნად გამოცემული თანამედროვე ქალი ავტორისჰების ქართულენოვანი და ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები.

რუსუდან ძოგულია

თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ჯემალ ჭკუასელის სახელი მიენიჭა

საქართველოს სახალხო არტისტს, ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, ღირსეულ პიროვნებას ჯემალ ჭკუასელს თბილისში მისი სახელობის ქუჩა და სკვერი მიუძღვნეს. თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით და დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, დიდუბე-ჩუღურეთის

რაიონში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან მდებარე სკვერს და ქუჩას მომღერლის, ფოლკლორისტის და მუსიკოსის ჯემალ ჭკუასელის სახელი მიენიჭა.

სკვერის გახსნას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ხელმძღვანელი ნინო ვარდოსანიძე, საქართველოს პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს დეპუტატები, დედაქალაქის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე, ასევე ჯემალ ჭკუასელის ოჯახის წევრები, მეგობრები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ქართველი მომღერალი და ლოტბარი 2021წლის 17 დეკემბერს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თანამგზავრი, რომელიც დედამიწაზე წყალს შეისწავლის

აპარატი SWOT — „ზედაპირის წყლისა და ოკეანის ტოპოგრაფია“ ორბიტაზე SpaceX-ს რაკეტამ გაიყვანა.

NASA-ში განმარტავენ, რომ თანამგზავრი გაზომავს მდინარეებში, ტბებსა და ზღვებში წყლის ზუსტ სიმაღლეს, მის ფართობს. ამ მონაცემების ცვლილებების გაზომვა კი სპეციალისტებს წყალდიდობებისა და გვალვების უფრო ზუსტი პროგნოზირების საშუალებას მისცემს და კლიმატის ცვლილების უკეთ გაგებაში დაეხმარება. დღეს მდინარეების უმეტესობის მონიტორინგი დედამიწაზე არსებული მოწყობილობებით აწარმოებენ. ამისთვის ორბიტაზე აქამდე არსებული სატელიტებით მოპოვებული ინფორმაციაც გამოიყენება, თუმცა ეს თანამგზავრები კონკრეტულად ამ მიზნისთვის არ არის შექმნილი. SWOT — კი სპეციალურად სიმაღლიდან წყლის სიმაღლის გაზომვისთვის არის შემუშავებული. SWOT-ზე NASA-ს, საფრანგეთის, კანადისა და დიდი ბრიტანეთის კოსმოსური სააგენტოების ექსპერტები მუშაობდნენ.



გამოიწერეთ ან იყიდეთ ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი!

ქრისტეშობისთვე გადამწყვეტია ბეჭდური მედიის, ანუ ტრადიციული და ეროვნული ჟურნალ-გაზეთების ხელმოწერა-გავრცელება-გადარჩენისთვის!

ბუნებრივია, ხელმომწერთა სიმრავლე მთავარი პირობაა 105 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აღორძინებისთვისაც...

ამიტომაც წიგნიერ საქართველოს — ვისაც ჯერ კიდევ უყვარს კითხვა, უმორჩილესად ვთხოვთ, გამოიწერონ ჩვენი სანდო, მართალი, ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი!

ხელმოწერა შეგიძლიათ, გაფორმოთ შემდეგ გამავრცელებლებთან:

შპს „ელვაჯი“, 595 38 26 26, 2 38 26-73, 2 38 26-74;

შპს „პლანეტა ფორტე“, 2 99 18 59.

ხელმოწერასა და გაზეთის ბინაზე მიტანაში უშურველად დაგეხმარებათ თვით რედაქციასთან ურთიერთობაც — ჭავჭავაძის პროსპექტი №17ე, „საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის“ ოფისი, დარეკეთ: 5 99 36 00 35, 577 77 27 17.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთაბათს, 22 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6674; ევრო - 2.8341;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2452;
100 რუბლი - 4.1225; თურქული ლირა - 0.1430;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5720;
1000 სომხური დრამი - 6.7701

ამინდი 20 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-3,	დღე +5
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე +4
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	0,	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე +10
თბილისი:	ღამე	+1,	დღე +5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge